“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№8 (285)
აგვისტო
2022 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეოთხე წელი "LITERATURULI MESKHETI"

ვახტანგ გურული

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. NN 6-7)

რაში გამოიხატა რუსეთის დაინტერესება

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ

გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომებს შორის დაიდო. თავდაპირველად რუსეთის იმპერიის მფარველობაში იმერეთის სამეფოც უნდა შესულიყო. იმერეთის სამეფოს საკითხი რუსეთის საიმპერატორო კარზე 1782 წლის ბოლოსა და 1783 წლის დამდეგსაც განიხილებოდა. ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ **ეკატერინა II**-ის მიერ ალექსანდრ **ბეზბოროდკოსათვის** ნაკარნახევი მფარველობითი ხელშეკრულების პირობები ეხებოდა როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთის სამეფოს. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაპირისპირება მთელი ძალით გრძელდებოდა. რუსეთს პოლონეთის გადანაწილებასთან დაკავშირებით დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ევროპის სახელმწიფოებთან (პოლონეთის წიფოებრიობის შენარჩუნების გარანტიას მისცემდა. ერეკლე II სავსებით ლოგიკურად აზროვნებდა, თუმცა მოვლენები სხვაგვარად, თუ შეიძლება ითქვას, სრულიად არალოგიკურად განვითარდა.

არ შეიძლება ზოგიერთი საბედისწერო გადაწყვეტილების მიღებაში ერეკლე II დავადანაშაულოთ. ჩვენი პოზიცია რომ უფრო ნათელი გახდეს, აუცილებელია რუსეთის საიმპერატორო კარის იმ გადაწყვეტილებებს შევეხოთ, რომლებიც ერეკლეს, არათუ 1782-1783 წლებში, სიცოცხლის ბოლომდეც კი არ შეუტყვია. საგარეო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილებას შესძინა. მალე ვითარება კარდინალურად, ქართლ-კახეთისათვის საბედისწეროდ, შეიცვალა. ოსმალეთის დანაწილების საკითხში რუსეთის მოკავშირე ავსტრიის იმპერია იყო. ინგლისმა, რომელსაც რუსეთისა და ავსტრიის მონაწილეობით ოსმალეთის დანაწილება ხელს არ აძლევდა, ავსტრიის იმპერატორზე გავლენა მოახდინა და ავსტრია „საბერძნეთის პროექტს“ გამოეთიშა. ავსტრიის იმპერატორმა ეკატერინა II-ს მისწერა: *ყირიმის სახანოს რუსეთის*

ლილი იყო). რატიფიკაციის ცერემონიალის დასრულების შემდეგ მეფემ პეტერბურგში გამგზავრება და ეკატერინა II-თან შეხვედრა გადაწყვიტა. რუსეთის იმპერატორმა პეტერბურგში ერეკლეს ჩასვლა საჭიროდ არ მიიჩნია და მეფეს შვილების გაგზავნა ურჩია. ეს უკვე ცუდის ნიშანი იყო. მეფე ერეკლე ამას იმთავითვე მიხვდა, მაგრამ მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ამის მიზეზი „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლა იყო. რუსეთის იმპერატორი დიპლომატიურ თამაშს ეწეოდა: ეკატერინა II უკვე ხელმოწერილი ტრაქტატის რატიფიკაციაზე უარს არ ამბობდა, სამაგიროდ, ერეკლე II-ის პეტერბურგში ჩასვლაზე თავი შეიკავა, ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ რუსეთის იმპერატორი ტრაქტატის პირობების შესრულებას არ აპირებდა. იმპერატორი სწორად ვარაუდობდა, რომ ქართველი მეფის პეტერბურგში ჩასვლა ირანისა და ოსმალეთის გაღიზიანებას გამოიწვევდა. გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელის აღების შემდეგ ერეკლე II-ის პეტერბურგში ჩასვლა რუსეთისათვის არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. რუსეთი ჩვეულ ორპირობას განაგრძობდა: ეკატერინა II-მ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს ბრილიანტის ჯვარი უბოძა და 2.500 მანეთით დაჯილდოვა, დედოფალი დარეჯანი წმ. ეკატერინას ორდენით დაჯილდოვდა, სხვადასხვა სახის ჯილდოები მიიღეს ვიორგი, იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებმა. პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება ებოძა 17 წლის მირიან ბატონიშვილს, ხოლო 18 წლის თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელიც ანტონის სახელით ბერად იყო აღკვეცილი, იმპერატორი რუსეთში მიწვევას და არქიეპისკოპოსის ხარისხში აყვანას დაჰპირდა. რუსული რევერანსები გათვალისწინებული იქნა. 1784 წლის 23 მაისს ეკატერინა II-ის სურვილის თანახმად, მირიან ბატონიშვილი და თეიმურაზ ბატონიშვილი (ბერ-დიაკონი ანტონი, მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II) იმპერიის

ირჩევენი ცუდსა და უარესს შორის

(ერეკლე მეორის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შეფასებისათვის)

პირველი გადანაწილება 1772 წელს შედგა, მეორე – 1793 წელს). ორ ფრონტზე მებრძოლ რუსეთის იმპერიას ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღების გამო შეიძლებოდა ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობა დაძაბვოდა, გამორიცხული არ იყო ომიც. ამიტომ იყო, რომ ეკატერინა II ფრთხილობდა. მის მიერ ნაკარნახევი ხელშეკრულების პირველ მუხლში გარკვევით იყო აღნიშნული: *ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ტრაქტატი დაიდოს. მათ ქვეშევდომები არ ვუწოდოთ, არამედ – რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფი მოკავშირეები.* ეკატერინა II ფრთხილობდა, ირანის გაღიზიანებას ერიდებოდა. 1768-1774 წლების ომის შემდგომ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა, დროდადრო, სერიოზულად იძაბებოდა. იმავდროულად, ინგლისი ცდილობდა პოლონეთის დანაწილებისათვის რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის დაპირისპირება როგორმე ომში გადაეზარდა. ამ ფონზე ირანთან ურთიერთობის დაძაბვა არასასურველი, საშიშიც კი იქნებოდა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით სერიოზულ რისკს არა რუსეთის იმპერია, არამედ ქართლ-კახეთის სამეფო სწევდა. საშიშროება მრავალმხრივი იყო: ყველაზე დიდ ხიფათს შეიცავდა ირანის გაერთიანება და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის აგრესიის აღკვეთა, როგორც ეს ნადირ შაჰმა მოიმოქმედა. ამ შემთხვევისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს „მფარველი“, ოსმალეთსა და ევროპის სახელმწიფოებთან დაპირისპირებული რუსეთი, გარკვეული ხნით კავკასიონის ქედს გადალმა დარჩებოდა. ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაციით გაღიზიანებული ირანი კი შურს იძიებდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ცხადია, კარგად ჰქონდა გააზრებული ერეკლე II-ს. მაშინ, რატომ გადაწყვიტა მეფემ გეორგიევსკის ტრაქტატის დადება? *ერეკლე II-ს სწამდა, რომ ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირება, აღრე თუ გვიან, რუსეთის გამარჯვებით დასრულდებოდა, ამიტომ უმჯობესი იყო ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის შემოჭრამდე შესულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი ქართლ-კახეთის ირანულ სახანოებთან გააიგივებდა და მასაც სახანოების მსგავსად დაიპყრობდა.* ერეკლე რუსეთთან ისეთი ხელშეკრულების დადებას ესწრაფოდა, რომელიც ქართლ-კახეთის ირანული სახანოებისაგან გამოარჩევდა და სახელმეფე, სამეფო კარი იმ ინფორმაციის ანალიზის შედეგად უნდა იღებდეს, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოს დედაქალაქიდან აწვდიან. ერეკლე II-ის შემთხვევაში ვითარება კარდინალურად განსხვავებული იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს თეირანში, სტამბოლსა და პეტერბურგში რაიმე დიპლომატიური წარმომადგენლობის მსგავსი (ელჩი, კონსული) 1783 წლამდე არასდროს ჰყოლია. ეს იმას ნიშნავს, რომ მეფემ არაფერი უწყოდა იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებსაც ირანში, ოსმალეთსა და რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოსთან ურთიერთობის თაობაზე იღებდნენ. ერეკლეს ინფორმაცია მისდიოდა, მაგრამ ეს შემთხვევიდან შემთხვევამდე ხდებოდა, ხოლო ხშირად მოწოდებული ინფორმაცია ყურმოკრული ცნობები იყო. ეს არ იყო პროფესიონალი დიპლომატების მიერ მოწოდებული მასალა. ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა საგარეო დაზვერვა, რომელიც ირანში, ოსმალეთსა და რუსეთში მეფის დავალებით გარკვეული სახის ინფორმაციას მოიპოვებდა. ასე რომ, ერეკლე II-ს გადაწყვეტილებები ფაქტობრივად ნულოვანი ინფორმაციის პირობებში უნდა მიეღო. ასე მოხდა 1782-1783 წლებშიც. მაშინ, როდესაც რუსი რეზიდენტები ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ათწლეულების განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ (ოფიციალურად ისინი მოგზაურები, მხატვრები ან ექიმები იყვნენ) ერეკლეს რუსეთის იმპერიის დედაქალაქში არცერთი დიპლომატი არ ჰყავდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა თითქმის ყველაფერი იცოდა, რაც ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ხდებოდა, ერეკლე II-მ კი არაფერი უწყოდა იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც პეტერბურგსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მფარველობითი ხელშეკრულების დადების პერიოდში ან შემდგომ ხანებში მიიღეს. ამიტომ იყო, რომ მეფემ ვერ ახსნა, რუსეთის საიმპერატორო კარი, რომელიც 11 წელი არ ჩქარობდა ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადებას, მოულოდნელად 1782 წლის ბოლოს და 1783 წლის დამდეგს რატომ აჩქარდა და ხელშეკრულების მომზადება და დადება უმოკლეს დროში რატომ მოინდომა. ქართლ-კახეთის მეფემ არ იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარის აჩქარება ორმა მიზეზმა განაპირობა: ყირიმის სახანოს საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვეტამ და „საბერძნეთის პროექტმა“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „საბერძნეთის პროექტმა“ ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი ფუნქცია *შემადგენლობაში გადასვლას ვცნობ; თუ ოსმალეთი რუსეთს ომს დაუწყებს, რუსეთის მოკავშირე ვიქნები, მაგრამ ოსმალეთის გადანაწილებაში მონაწილეობას ვერ მივიღებო.* „საბერძნეთის პროექტის“ განხორციელება შეფერხდა და ქართლ-კახეთის სამეფომაც სამხრეთ კავკასიაში ის მნიშვნელოვანი ფუნქცია დაკარგა, რომელიც მას ოსმალეთის გადანაწილების შემთხვევაში ენიჭებოდა და რამაც გეორგიევსკის ტრაქტატის დადება დააჩქარა. „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლას საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის, ერეკლე II-მ კი ამის შესახებ არაფერი იცოდა, ეს იყო სახელმწიფოებრივი საიდუმლო, რომელსაც პეტერბურგში მკაცრად იცავდნენ. „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლამ რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა: თუ „საბერძნეთის პროექტიდან“ გამომდინარე, რუსეთის საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადებას, საქართველოში ჯარის გამოგზავნას საჭიროდ მიიჩნევდა, „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლის შემდეგ რუსეთისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულება უკვე ზედმეტ ბარგად იქცა. ამიერიდან ყურადღება პოლონეთის დანაწილებაზე იქნა გადატანილი და ევროპის სახელმწიფოებთან დაპირისპირებული რუსეთი ოსმალეთსა და ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების გზას დაადგა. ეკატერინა II-მ კარგად იცოდა, რომ ირანსაც და ოსმალეთსაც ქართლ-კახეთის სამეფოში მდგარი ორი რუსული ბატალიონი უკიდურესად აღიზიანებდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოში ჯარის დამატებითი კონტინგენტის გაგზავნისაგან, რასაც ერეკლე II მრავალგზის ითხოვდა, იმპერატორი თავს იკავებდა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში, ხოლო 1787 წელს, ოსმალეთთან ომის დაწყების მომიზეზებით, რუსეთმა საქართველოდან ის ორი ბატალიონიც გაიყვანა. ამ ნაბიჯით შეშფოთებულ ერეკლე II-ს პეტერბურგიდან განუმარტეს: *რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის სამეფოში ყოფნა მეზობელ სახელმწიფოებს აღიზიანებს, ჯარის გაყვანის შემდეგ თქვენ მეზობლებთან ურთიერთობას უფრო ადვილად მოაგვარებთო.* ალბათ, უადგილო არ იქნება ორი ასეთი ფაქტის გახსენებაც:

ამბავი პირველი: *1784 წლის 24 ივნისს თბილისში გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაცია შედგა – ერეკლე II-მ ხელი მოაწერა სარატიფიკაციო სიგელს (ამ დროისათვის „საბერძნეთის პროექტი“ უკვე ჩაშლილი იყო). ეკატერინა II-მ ერეკლეს 24 ქვემეხი და ყუმბარების 2 კომპლექტი უბოძა. ეს მეფის დასამშვიდებელი ქმედება იყო, რადგან ამ დროისათვის პეტერბურგში საიდუმლო გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, რომლის ძალითაც რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებაზე ფაქტობრივად უარს ამბობდა, თუმცა მის იურიდიულად გაუქმების საკითხს არ აყენებდა. მეფე ერეკლეს დასამშვიდებლად ნაბოძებმა 24-მა ქვემეხმა დიდხანს იმოგზაურა: 1785 წლის თებერვალში ქვემეხები პეტერბურგიდან ტვერში გაგზავნეს, შემდეგ მდინარე ვოლგით ქალაქ ცარიცინამდე ჩაიტანეს, საიდანაც ისევ სახმელეთო გზით ეკატერინოგრადში გადაიტანეს და ქვემეხებმა თბილისში მხოლოდ 1787 წელს ჩამოაღწია, ისიც ნაწილმა. მეორე ნაწილის ჩამოტანა იმდენად დაგვიანდა, რომ კრონანისის ომსაც კი (1795 წლის სექტემბერი) ვერ მოუსწრო. ერეკლე II-ის მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, ქვემეხების თბილისში ჩამოტანა 1797 წლის 31 დეკემბერსაც კი არ იყო დასრულებული. ერეკლე II ისე გარდაიცვალა, რომ ნაბოძები ქვემეხების სრულად ნახვას ვერ ეღირსა.*

ერეკლე II-მ, როგორც აღვნიშნეთ, არაფერი უწყოდა არც „საბერძნეთის პროექტის“ არსებობის, არც მისი შეფერხების, ხოლო შემდეგ, საერთოდ, მივიწყების შესახებ. მეფემ არც ის იცოდა, რომ რუსეთმა პოლიტიკური ვექტორი დასავლეთისაკენ მიაბრუნა, მთელი ყურადღება პოლონეთის გადანაწილებაზე გადაიტანა, ეს კი ირანსა და ოსმალეთთან მშვიდობის შენარჩუნებას ითხოვდა. რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ახალი დებულება – „სინყნარე სამხრეთის საზღვრებზე“ – ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის სამეფოს გაწირვას, მისი ირანისა და ოსმალეთის პირისპირ მიტოვებას და, მაშასადამე, გეორგიევსკის ტრაქტატის ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავდა. ამ პერიოდის ისტორიიდან კიდევ ერთი მრავლისმეტყველი ფაქტის გახსენება შეიძლება. ეკატერინა II უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის წარმომადგენლებთან ერეკლე II-ის თხოვნის საფუძველზე საქართველოში ჯარის დამატებითი კონტინგენტის გაგზავნის საკითხს იხილავდა. ჯარის გაგზავნას თათბირის

გაგრძელება გვ. 8 ▶

ილია ჭავჭავაძის დაბადების 185 წლისთავისთვის!

„ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა... ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“, – ლაპარაკია კაკო ყაჩაღზე და ზაქროზე ილიას პოემიდან „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ერთი შეხედვით უცნაური დასასრულია – რა ნაღველზე, რა ბალღამზე უნდა იყოს საუბარი, როდესაც თავისუფლებისათვის, ღირსების დაცვისათვის მებრძოლმა ორმა პიროვნებამ აღასრულა ის სამართალი, რომელიც არაა მათ ირგვლივ, მათ ცხოვრებაში. მაშ, „ნაღველი“, „ბალღამი“ საიდანღა? ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მანამდის კი გავიხსენოთ კიდევ ერთი პერსონაჟი ილიასივე „გლახის ნაამბობიდან“ – გაბრიელი. გაბრიელმაც ხომ იგივე გზა გაიარა, რაც ზაქრომ (ვფიქრობ, ნიუანსებს მნიშვნელობა აქვს ჩვენი სათქმელისათვის), მანაც დაიცვა თავისი ღირსება, სამართალიც თვითონვე აღასრულა უსამართლო ქვეყანაში. თუმცა არც ის გახდა ბედნიერი, მაინც ვერ ჰპოვა უნაღვლო შვება და მის გულშიც ბალღამი ტრიალებს.

თავის დროზე ამ ორივე ნაწარმოებს კრიტიკა ილიას უდიდეს გამარჯვებად მიიჩნევდა, არა იმისათვის, რასაც ილია სინამდვილეში გვეუბნება ამ ნაწარმოებებით, არამედ მათი ზედაპირული აღქმისათვის – ყმებმა, შეურაცხყოფილმა ყმებმა, დახოცეს თავისი დესპოტი ბატონები, შური იძიეს იმ საშინელებათა გამო, რაც მათ დამართეს თავის ერთგულ ყმებს. რა თქმა უნდა, ამაზეცაა საუბარი ილიას ამ ნაწერებში, მაგრამ განა ესაა მთავარი, რისი თქმაც უნდა ილიას? მივყვეთ და გულდასმით მივადევნოთ თვალი ილიას ამ ნაწერებს და თანდათან, თქვენთან ერთად გამოვკვეთოთ ის სათქმელი, რასაც ჩვენ ვკითხულობთ პოემასა და მოთხრობაში. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ჩემი სიტყვა, ჩემი აზრი, საბოლოო ბეჭედია და ჭეშმარიტების საბოლოო ინსტანცია. არა, ესაა მორიგი მცდელობა ილიას სხვაგვარად წაკითხვისა. ამის შესაძლებლობას ყოველთვის იძლევა დიდი მწერლის შემოქმედება. სხვაგვარად მისი ნაწერები დროს ვერ გაუძლებდა და თავისსავე ეპოქაში ჩაინთქმებოდა. ილია კი დღესაც გვაღელვებს, გვაფორიაქებს, სამსჯელოდ, საკამათოდ განგვაწყობს. ამიტომაცაა ის მარადიული თანამედროვე.

პოემას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ჰქვია. ოღონდ ეს რამდენიმე სურათი და ეპიზოდი რომელი ყაჩაღის ცხოვრებიდანაა, აშკარად არაა გამოკვეთილი. რამდენიმე სურათი ზაქროს ცხოვრებასაც მიესადაგება და კაკოსასაც. ილია ერთის ცხოვრების მოთხრობით, მეორის ცხოვრებასაც გვაგულისხმებინებს. გულს გული იცნობს და ღონეს – ღონე, საერთო ისტორიის არსებობაზეც უნდა მიგვითითებდეს. მაინც რა არის ისეთი ხიბლი ბღაჭიაშვილის ამგვარ ცხოვრებაში?

„თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია,
მაგრამ აქ ჭირიც მიადვილდება...
უსახლკარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
კურდღელისავით ფხიზელი ძილი
და იარაღი დღე-და-ღამ ხელში.
მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი“.

ამ ჩამონათვალში, გაჭირვების აღწერის ამ სურათში, თითქოს არაფერია სახარბიელო, თუმცა ამ სტრიქონებს მოსდევს კაკოს ცხოვრების საკომპენსაციო სიტყვები:

„მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“.

განა ლელთ ღუნიაც ამას არ ამბობს, რომ საკუთარი თავი თუ გვეყუდვნის, იქ ბევრი რამის ატანაა შესაძლებელი. ლელთ ღუნია კოლექტიური, ანუ ეროვნულ თავისუფლებაზე საუბრობს, კაკო კი – პიროვნულზე, მაგრამ შეიძლება კი ისინი ურთიერთგამომრიცხავნი იყვნენ? არა, პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს უნდა ეხიდებოდნენ. უერთმანეთოდ კოჭლია თავისუფლება.

ერთის არსებობა მეორის არსებობის გარანტია ვერ იქნება. ადამიანი ვერ დარჩება ერთი კარგი ბატონის იმედად. ზაქრო მოაცილეს მშობლის კერას, თავიდან გაუჭირდა, შემდგომ შეეგუა თავის ყოფას:

„ჩემს სახლ-კარზედა არც დღე,
არც ღამე
აღარ ვფიქრობდი არ ვღონდებოდი.
ძამო! რა ტკბილად, რა უდარდელად
ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ!“

მაგრამ ეს ყოველივე ამაოა და მოჩვენებითი ავი ბატონის ხელში. მოხდა საშინელება. ბატონის უაზრო გაშმაგებას მოჰყვა ის, რომ ზაქროს მამა როზგის ქვეშ მოკვდა. ამან გამოიწყვია შვილის სამართლიანი შურისგება, ზაქრომ მოკლა მრისხანე ბატონი. გულის მოსაფხანია ზაქროს საქციელი, კაკოს შექებასაც იმსახურებს, მაგრამ, აი, თვითონ შურისმაძიებელი შვილი რას ამბობს:

„მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა
და შეუნგრია გულის ფიცარი –
იმ ჩემ ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,
თავის თავის და სხვის
წამწყმენდელსა“.

როგორც ვხედავთ, ზაქროს თავი დაღუპულად და წაწყმედილად მიაჩნია და არა გამარჯვებულად, ქებისა და დიდების ღირსად. ამ თვითშეფასების შემდეგ უკვე აღარაა გასაკვირი პოემის ბოლოში ნათქვამი შემდეგი რამ:

„ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა...
ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა,
წარმოიდგინოს თითონ მკითხველმა“.

დიახ, ნაღველმა, დარდმა წაიღო ორივე. ეს კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ მათ საერთო ისტორია აქვთ, ერთმანეთის მსგავსი წარსული და ის გზა, რომელიც მათ აირჩიეს, ანუ ყაჩაღის გზა და ამგვარად მოპოვებული თავისუფლება, მათ არ აბედნიერებთ. ეს გზა სისხლიანი გზაა, ცოდვიანი გზაა.

ილია ჭავჭავაძემ ზაქროს თავგადასავლის ჩვენებით გვითხრა, რომ სისხლით მოპოვებული თავისუფლება ნაკლული თავისუფლებაა. ილია ემიჯნება თავისუფლების მოპოვების რევოლუციურ გზას და მას, როგორც ქრისტიანს, გაუმართლებლად მიაჩნია მკვლელობა, ძალადობა, თუნდაც ეს თავისუფლების სახელით კეთდებოდეს. ილიას აქებდნენ იმისათვის, რაც მას არ ჩაუფიქრებია და არ უქადაგია.

ილიას ეს პოემა, როგორც თვითონვე დასათაურებიდან ჩანს, ეპიზოდებისაგან შედგება, ამიტომაც ჰქვია მას „რამდენიმე სურათი...“, მაგრამ ამ რამდენიმე სურათში კარგად ჩანს ის დამღუპველი რეალობა, რომელსაც იწვევდა ბატონყმური ურთიერთობა. ილია მომხრე იყო ევოლუციისა და არა რევოლუციისა. მას მიაჩნდა, რომ შესაძლებელი იყო საერთო საყრდენის მოძებნა, ანუ საერთო ნიადაგის მონახვა, რომ ამ სცენარით არ განვითარებულიყო ბატონისა და ყმის ურთიერთობა, როგორითაც განვითარდა ზაქროსა და მისი ბატონის ურთიერთობა.

ზაქროს შურისძიება მყისიერია, აფექტურია. გაბრიელის შურისძიება კი, „გლახის ნაამბონიდან“, არ არის აფექტზე დამყარებული. ის უკვე გამიზნული, ნაფიქრი და დაგეგმილია. შურისძიება იქაც სამართლიანია, იქაც ბოროტების აღმოფხვრას ემსახურება, თუმცა ამ შურისძიებას გაბრიელისათვის შვება არ მოაქვს, ისევე, როგორც არ მოაქვს შვება ზაქროსათვის. ისიც სულის წამწყმედია, დამღუპველია.

გაბრიელი თავის თავგადასავალს თვითონ ყვება და არ მიაჩნია თავისი შურისძიება შვების მომგვრელად. მწერალიც არ ამართლებს გაბრიელის არჩევანს. ზიარების გარეშე გაბრიელის აღსასრული მიგვანიშნებს მწერლის ჩანაფიქრზე. სისხლის ღვრას არ მოაქვს ადამიანის შინაგანი თავისუფლება.

ეს ორივე ნაწარმოები ბატონყმობის თემას ეხება. ილია გვეუბნება, რომ ბატონყმობის ამგვარი არსებობა ხიფათის შემცველია, რომ ის შეიძლება გადაიზარდოს ისეთ სისხლის ღვრაში როგორც ამ ნაწარმოებებშია აღწერილი. ამით ილია ბატონსაც და ყმასაც აფრთხილებს, რომ თუ ამ გზას დაადგებიან, არცერთისათვის კარგი შედეგის მომტანი ეს არ იქნება.

ილიას მთელი შემოქმედება რუსთველით დიდადაა დავალებული. ეს ამ ორ ნაწარმოებშიც იგრძნობა. რამდენიმე სურათს წამძღვარებული აქვს რუსთველის შემდეგი სიტყვები:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

ზაქრო, კაკო და ზაქროს ბატონი წავლენ, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება.

„გლახის ნაამბობიც“ გაჟღენთილია მთლიანად რუსთველის სულით. მოძღვარი გაბრიელს წერა-კითხვას რუსთველის „ვეფხისტყაოსნით“ ასწავლის. გაბრიელი აღტაცებულია იმ აზრებით, რომელსაც პოემაში ხვდება. დათიკოც სიკვდილის წინ გაბრიელს ეუბნება – „ამით გათავდა შენი შერმადინობაო?“, გაბრიელი კი პასუხობს, – *„როგორიც ავთანდილი შენ იყავი, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიეო“.*

იმ ეპოქაში, რომელ ეპოქასაც ილია ჭავჭავაძე ამ მოთხრობაში აღწერს, აღარ არიან ავთანდილები და, ბუნებრივია, ვეღარც შერმადინები ვერ იქნებიან. დათიკო დეგრადირებული ავთანდილია და დეგრადირებულ ავთანდილს შერმადინი ვერ ეყოლება.

გაბრიელმა იცის, რომ *„კაცის კვლა, რაც უნდა იყოს მაინც ცოდვაა, შენი ჭირიმე! ეს მე ვიცოდი და ეს მე მიკიდებდა ცეცხლს და გულ-ღვიძლსა მწვავდა. მაგრამ, როცა მომაგონდა, რომ ჩემმა სასიკვდილომ ერთის წუთის ჟინის საკლავად სამი ადამიანის სული არ დაგვინდო, მე ცოცხალი გამომასალმა წუთის-სოფელს, შვილს მამა უზიარებლად მოუკლა და თუ ამასთან შვილსაც ნამუსი წაართვა, – განა ამისთანა კაცის მოკვლა დიდი ცოდვა უნდა იყოს-მეთქი – ვფიქრობდი გულზედმოსული და ბრაზმორეული. მაშ ღვთის სამართალმა აღარ უნდა გაილვიძოს-მეთქი! მაშ რას მეუბნებოდა მღვდელი, სხვა შენთვისაო და შენ სხვისთვისაო, თუ არა ამასა?!“*

მიუხედავად ამისა, ის პეპასათვის მიცემულ ფიცს ასრულებს, კლავს დათიკოს. ილია თავისი ქრისტიანული მრწამსის ბოლომდე ერთგული დარჩა. „არა კაც კლა!“ მწერლისათვის უმთავრესი საყრდენი იყო და მისი დარღვევა არანაირი მიზნით არ შეიძლებოდა გამართლებულიყო. ამიტომაც ვერ მიიღეს ილიას ეს პრინციპი სოც-დეკებმა, რომლებიც მთელ ქვეყანას სისხლიანი ქაოსისაკენ ეწეოდნენ. ილიას მკვლელობა დაედო საფუძვლად ჩვენი ქვეყნის მე-20 საუკუნის ისტორიას. ნეობოლშევიზმი დღესაც ცოცხალია, ამიტომაც ილიას წინააღმდეგ ბრძოლა, მისი ჰუმანისტური იდეების წინააღმდეგ, კვლავაც გრძელდება.

ზემოთ უკვე ვთქვით, ილიას პოემები და მოთხრობები დიდადაა დავალებული „ვეფხისტყაოსნით“, მისი იდეებით. „კაცია ადამიანი?!“, „აჩრდილი“, „ოთარაანთ ქვრივი“. ილია ხედავდა თუ როგორ დევალვაციას განიცდიდა რუსთველის ეპოქის ღირებულებანი ახალ, ილიასეულ დროში. მწერალი ამას ამჩნევდა და გულისტკივილით აღწერდა. თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა.

ანდრო ბედუკაძე,
ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი



მადონა ფალავანდიშვილს

სხვა რა დამრჩა, ვეფერები
ჩვენთვის ძვირფას თარიღებს,
კარზე აღარ ვაკაკუნებ,
კარს არასდროს გამიღებ,
თურმე როგორ მყვარებიხარ
და რა გვიან გავიგე.

ჩვენს ოჯახზე სხვები თხზავდნენ
ლეგენდებს და სიმღერებს,
შენთან მოსვლით ვინუგეშებ
გამწარებულ სიბერეს...
მარტოობას ვეგუები
კოშმარული დღის მერე.

აღარც დარი გახარებს და
არც გაწუხებს ავდარი,
აღარ მტუქსავ სიყვარულით –
უზომოდ თუ დავთვრები,
ღვთის წინაშე მუდამ ვიყავთ
ორივენი მართლები.

სხვა რა დამრჩა, მოგონებებს
ღამე უნდა ვუთიო,
სანამ მეც მანდ გეახლები,
გეახლები უთუოდ.

* * *

მიყვარხარ თავდავიწყებით,
გიყვარდი სიგიჟემდი,
მიყვარხარ, არ მავიწყდები,
სული ჰაბია სევდის.

ვლოცულობ ქრისტიანულად,
სანთელს სულს ვატან შენთან,
ცრემლსაც გიგზავნი მალულად,
სანამ ვიქნებით ერთად.

სხვა რა ვუბრძანო ახლა გულს,
მტერს, რა განცდებშიც მე ვარ,
ცხოვრებას ჩემსას, ჩახლართულს,
არ ესინჯება წნევა.

ვერ ამომიღებ გულიდან

გულის ჩინს გადარებდი და
ვცხოვრობდი ჩემთვის, ბერივით,
მაგ გულის რადარებიდან
გავქრები ლაინერივით.

დაგრჩება სინანული და
ხსოვნა ურიას ვალივით,
ვერ ამომიღებ გულიდან
ბარში აკიდულ მთვრალივით.

* * *

სარწმუნოება კარგია...
და კარგზე მეტი ათასჯერ,
თუკი სამშობლოს არგია,
თუკი სამშობლო ადარდებს.

სამშობლოს ერთგულ შვილებში
მეუფეებიც არიან...
რა მკითხე?
ის თუა მეუფე?
ის იუდას უკანალია.

უფალო, გთხოვ მაპატიო
განკითხვის დანაშაული,
მეუფე ცა-პე, ცუ-პასი
ფასი არ არის შაურიც.

* * *

გადავურჩი სისხლის დუღილს,
ჯებირების დასამტვრევად მოწოლილს,
როდის იყო, რომ მიჰქონდათ შეშა ტყეში,
დასანთებად კოცონის?!

შეცდომების კასკადია გასარღვევი,
თუმც არ ვნანობ, ადრე რისთვის
მომწონდი,
ეს გრძნობები, უსარქველო, რას სჩადიან
ჩასაქრობად კოცონის?!

არ მოვნიოთ

მედღე-მეხვალიობით,
გავა, ალბათ, ეს წელიც...
სიტყვა ბევრჯერ გავტეხე,
ვეწევი და ვეწევი.

ღვინო არ მწყენს,
ღვინოს ვსვამ,
ღვინო როგორ არ ვაქო,
რა ვქნა,
რა მოვუხერხო,
ფილტვის კიბოს – თამბაქოს.

გულფიცხი და თავნება
სიგარეტის მონა ვარ,
მედღე-მეხვალიობით
ვინადგურებ მომავალს.

საქართველოს გადამრჩენი

იქით მცხეთა მელოდება,
მელოდება გორი აქეთ,
ბიჭებს მერე დავურეკავ,
მერე ავაფორიაქებ.


ტბეთი,1888.
პავლინოვის ფოტო

გავექცევი ლომებს ფხიზელს,
რესტორნების აცილებით,
ქუთაისში ვნახავ მიზეზს
დათრობის და წაძინების.

ელგუჯასთან სხვა ხიბლი აქვს,
სხვა მადლი და სხვა მარილი,
ნაკურთხ ციცქა-ცოლიკაურს,
მკურნალს უფლის წამალივით.

ვიცი, ერთ დროს ქუთაისი
საქართველოს ინახავდა,
ხსოვნა გვმართებს გელათში და
ბაგრატში მწოლ წინაპართა.

შევეგუეთ სარფში წერტილს...
ენგურს გაღმა დასმულ მძიმეს...
გვაპატიებს, განა, ღმერთი,
შუქს რომ ვაქრობთ მოციმციმეს.

ჩვენი ნებით – ბედკრულები,
ვუვარდებით ფაშვში მოლას,
ქუთაისო, მეგულები
ამ ზვირთებში მაშველ რგოლად.

ვენაცვალე შენს ტკბილ ქართულს,
სტუმრის გაოცების ჯადოს,
საქართველოს გადამრჩენი –
ღმერთმა ქნას, აქ დაიბადოს!

ვინიშნები საქართველოს კარისკაცად

ვინიშნები
საქართველოს კარისკაცად,
ისტორიას
ცრემლის სხივით ვქარგავ,
თურქს არ ახსოვს,
რაც ოსმალომ წარიტაცა,
სამწუხაროდ,
გამხსენებიც არ ჰყავს.

რომელ ფესვს და
რომელ ღეროს მოვეჭიდო,
უფსკრულისკენ
მიმაქანებს ზვავი,
სიბრძნის წიგნი
უნდა მოგცე, ჩემო ბიჭო,
სამშობლო გაქვს
სიბრძნით დასაცავი.

აქ საქართველოს დედაზარი დაირეკება

რისთვის,
ჩვენ რისთვის შევხვდით დღეს და
რისთვის ვაბორგეთ
ჩვენი სულები
საქართველოს ღობე-ყორეზე?!

ეს ლომგულები
ამიფრენენ, ვიცი, აქ ორბებს,
აქ საქართველოს დედაზარი დაირეკება.

ძლევად და ძლევად
იგუგუნებს აქ ჩემი მრევლი –
სულზე ტკბილო, ჯავახეთო,
მესხეთო და თრიალეთო,
საქართველო მანახეთ და
გული გამიმზიანეთო.

ტბეთის ტაძარს

მინდა, შენს ქვებს ვეფერო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სულის მაცხოვნებელო,
ტბეთის დიდო ტაძარო.

ღვთაებრივი ფარდაგით
მრევლს ყოველთვის ჰფარავდი,
ჰქონდა შენი იმედი
ერგეს,
კირნათს,
მარადიდს...

უფლის კვართით დაწინდულ
საქართველოს შვენოდი,
წუხდი,
ჟამით დაბინდულს
გარბევდნენ,
ვერ გშველოდი.

მითხარ, ვის მოვეფერო,
მითხარ, ვის გავუჯავრდე,
აღსდგე, ვთქვათ, გურიიდან –
ზარზმა-არტანუჯამდე.

საბა ეპისკოპოსის
ვხედავ დიდ ეპარქიას
სიზმარში და მივტირი,
რაც დღემდე დამკარგვია.

ახლა ასე, შორიდან,
შენს ხატს უნდა ვეფერო,
სულის მაცხოვნებელო,
სალოცავო ბებერო,

სალოცავო მზეგრძელო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სათნოების მთესველო –
ტბეთის დიდო ტაძარო.

ქართველს თრიალეთი უხმობს

საყვარელო, ირმის ჯოგებს
თრიალეთში უძოვიათ,
ჩემი დაკარგული განძი
დუხაბორებს უპოვიათ.

მალაკანებს უპოვიათ
ჩემი ხვასტაგი და რემა,
ქციის ხრამში ჩაესვენა
სისპეტაკე ნაადრევად.

ბაღუაშო, კლდეკარიდან
რისხვა გრიგალივით წივის,
ჩამონგრეულ ფიტარეთში
წინაპრების სული ყივის.

წინაპრები...

თორემ ვიცი,
მიწას დუხაბორიც უვლის,
ყელი გამოღადრული მაქვს,
ვკვდები, ვეღარ ვიკლავ წყურვილს.

დროა, ჩამოჰკარით ზარებს,
სამშვიდობოს დაჰკართ ბუკებს,
ჩემი თრიალეთი გიხმობთ,
სისხლი გიხმობთ ტაბარუკებს!

ქაჩალგორა,
გომარეთი,
ასპინძა და აწყური,
გული კაცის, თუ გულია,
არ იქნება მაცდური.

ასპარა და
გედაკლარი,
ფარავანი,
ბარეთი,
ჩამოშლილი თმებით შემხვდნენ,
შემხვდნენ სიმწუხარეთი.

ბაღუაშო, კლდეკარიდან
რისხვა გრიგალივით წივის,
ჩამონგრეულ ფიტარეთში
წინაპრების სული ყივის.

წინაპრები...
თორემ ვიცი,
მიწას დუხაბორიც უვლის,
ყელი გამოღადრული მაქვს,
ვკვდები, ვეღარ ვიკლავ წყურვილს.

ლია მარტაშვილი

„ყოველი სამეფო თავის თავის წინააღმდეგ დაყოფილი, გაუდაბურდება და ყოველი ქალაქი ან სახლი, რომელიც დაიყოფა თავის თავის წინააღმდეგ, ვერ გაძლებს“

მათეს სახარება 12, 25

დიდი, ტოტძლიერი ჭერმის ხე ზედ, სამეზობლო საზღვარზე ანუ, კახელები რომ იტყვიან, მიჯნაზე გაეხარებინა წინაპარს და ისიც, მაღალი მესერის ერთ ნაწილად ქცეული, სამეზობლო ეზოებს ზამთარ-ზაფხულ ჯარისკაცივით დარაჯობდა. მესერსა და მესერს შორის მოქცეული მისი ძლიერი სხეული თითქოს საგანგებოდ სწორად აღმართულიყო, ზევით კი კაკლის ხესავით გაძლიერებულიყო და ღამის ორივე ეზოს საჩრდილობლად ქცეულიყო. ჭერამს აქეთ, კარგა მოზრდილ ეზოში დაინყო და გაგრძელდა ჩემი და ჩემი და-ძმის ბიოგრაფია, ჭერამს იქით – ისევ კარგა მოზრდილ ეზოში, ჩვენი კარის მეზობლის, ფრონტზე ქმარდაღუპული ქვრივი თამროს 4 გოგო-ბიჭის ბავშვობა და მომდევნო ბიოგრაფია.

...გაზაფხულზე ცივგომბორის მთების ფერდობებს თოვლი აქა-იქ ხალიჩასავით რომ მოაფარდაგებდა და იმ მთების თავანიდან წამოსული დიდ-პატარა ანკარა ნაკადულები ჩვენს ეზოებს დაუკითხავად რომ ჩამოუვლიდა აღმოსავლეთიდან ამომავალი დიდგულა მზის სხივების ძალმოსილებითა და კარნახით, ბალახის ნემსიწვერები მიწას რომ გაუმკლავდებოდნენ და თავს ამოყოფდნენ, მთის კალთებს შეფენილი ფიჩხიანი ტყე იდუმალ წკაპაწკუპსა და ჩურჩულს რომ დაიწყებდა, სწორედ მაშინ გაიშლებოდა ხოლმე ჭერმის მაღალ ტოტებზე პირველი ყვავილი, მერე ქვევით და ქვევით ჩამოინაცვლებდა მეწამური, ზღაპრული ფერადოვნება და ერთ კვირაში აფეთქდებოდა ზამთრისაგან თითქოს დაბერებული, გაყურსული და გამტკნარებული ჩვენი ჭერმის ხე. ბუნების ჯადოსნურ ხელს სათითაო წკირზე დაესკუპებინა ათასობით ყვავილი, რომლის სურნელს ღამის განივთებულად ვგრძნობდით დიდებიც და პატარებიც. ჭერმის აფეთქებული ტოტები აქეთ, ჩვენს საძინებელში შემოდიოდა და იქეთ, თამროს ორსართუ¬ლიანი სახლის მეორე სართულის იმ ოთახში, სადაც ოთხ და- ძმას ეძინა.

მოკლედ, იმ ჭერამზე ღამაზი დღემდე არაფერი მინახავს. ქარი და ნიავი რომ დაუბერავდა, აი მაშინ იყო ჩვენი აღტაცება და სიხარული, ყვავილები ტოტებიდან ჰაერში ფანტელებივით განიბნეოდა, ჩვენს ოთახებში შემოფარფატდებოდა და იატაკს ხალიჩად დაეფინებოდა.

ხე თითქოს იცინოდა, ხარობდა, სიცოცხლეს ზეიმობდა და ნაყოფს ელოდა. ჭერმის ნაყოფს ველოდით ჩვენც, იქეთა და აქეთა გოგო-ბიჭები. ისიც უნდა ვთქვა, რომ დაბლა და დაბლა ტოტებზე, ჯერ კიდევ მწვანეობაში მყოფს, გამოვუყვანდით წირვას, ავივსებდით ჯიბეებს, მერე სკოლის გზას დავადგებოდით და თანატოლებსაც ვუნაწილებდით.

მარტში გაკვირტული, აპრილსა და მაისში გაზაფხულგამოვლილი ხე ივნისში ქარვისფერი ნაყოფით აივსებდა უბე-კალთას და მწვანე ფოთლებს შორის დახუნძლული ტოტები თითქოს ღიმილით ეპატიჟებოდა პატრონსა და მეხილეს.

თბილი და განუმეორებელი ადამიანური სიკეთის ამბავიც ამ მწიფე ჭერმიდან იწყებოდა...

გამთენიისას ამდგარი დედაჩემი, ჩვენ ჯერ ისევ რომ გვეძინა, მოზრდილ სათლს ძირს გაფენილი მწიფე ნაყოფით აავსებდა, მეორეს, მოზრდილ ჯამფილასაც და ასე თავსავსეებს, იქვე კიბეებთან დადგამდა. ავდგებოდით, ჩამოვირბენდით და დედაჩემის თხოვნაც ზედ კიბის პირველ საფეხურთან ჩამოსულებს, დაგვეწეოდა.

– კაი ბლომად დაუყრია წუხელ ნაქროლ ნიავს ეს ჩვენი გემრიელი ჭერამი, აგერ, გენაცვალოთ დედა, ჯამფილა თქვენთვის ავავსე, გარეცხეთ და მიირთვით, ეგ სავსე სათლი კიდე, აღარ დაახანოთ, თამროს გოგო-ბიჭებს გადაანოდეთ, როგორც კი ადგებიან... მე სამსახურში უნდა წავიდე...

მე არავის ვაცლიდი, ორივე ხელით ატატებული სათლით ხალისით გავემართებოდი სამეზობლო ჭიშკრისაკენ, მუხლისკვრით გავხსნიდი და...

– ეგერ არა დგას თამრო თავის უფროს გოგოსთან ერთად, ოქროსფერი, ლოყაშეწითლული ჭერმით აუვსია სათლი და...

– იმოდენა ჭერამი ჩამოსულა წუხელ ჩვენსკენ, აი თქვენთვის ავავსე, შვილო, წაიღე და ჭამეთ, ჩემს გოგო-ბიჭებსაც ეყოფათ...

– ეგ რაღაა? ვიშ, ქა! დედაშენმა კიდევ ჩვენსკენ გამოგატანა? მამიკვდეს თავი, რათ იწვალეთ, ქა?.. თან კმაყოფილ ღიმილს ატანდა კითხვას.

– კარგი, რაკი დაგვასწარით, გავცვალოთ სათლები, ეს თქვენა და ეგ კიდევ, დედაშენს არ ეწყინოს, აი, ჩემს შვილებსა. ჭამეთ, შვილო, სანამ არის, მარგებელი ხილია, მზის ხილია და მზის გემო აქვს, ამ გაჭირვებაში ჩემი შვილები პურსაც კი ატანენ და მშვენივრადაც ნაყრდებიან.

ეგრე ტკბილად იცხოვრეთ და იბედნიერეთ, შვილებო!

– ეგ რაღაა, მეკითხებოდნენ უკანმობრუნებულს დედა და ბებია.

– თამარა დეიდასაც აუკრეფავს და ჩვენ გამოგვიგზავნა.

– თამარ, დაუძახებდა მესერს აქედან ბებიაჩემი, რათ იწვალე, დედაკაცო, შენი შვილებისთვის გეჭმია...

– თქვენ რომ გიწვალნიათ ჩემი შვილებისთვინა? გაიხაროს ამის დამრგველმა, ეს ხე ხომ ორივესია, ყმაწვილებმაც ისნავლონ მეზობლობა და მოკეთეობა.

ასე გრძელდებოდა გაცვლა-გამოცვლაში, გაგზავნ-გამოგზავნაში მაის-ივნისის ულამაზესი დღეები. ჭერამს, ზედ რომ ესხა და დაბლაც ბლომად ცვიოდა, განსაკუთრებული გემო ჰქონდა. ცალლოყა მზით დაბრაწული, სიტკბოთი პირგაპობილი, გემრიელი ხომ იყო და საოცრად ლამაზიც, თითოეული ნაყოფი და, ერთად, მთლიანი ხე.

ჰო, გავხსნიდით სამეზობლო კარს და მშობლების რჩევით, მზის ნაყოფზე მარტო ჩვენი უბნის კი არა, სხვა უბნების გოგო-ბიჭებსაც ვეპატიჟებოდით.

* * *

ჭერამიცა და მისი ნაყოფიც, რაღა თქმა უნდა, მიზეზი იყო. მიზეზთა მიზეზი კი ის, რომ ჩვენს მშობლებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ამ სამეზობლო სიყვარულს ყოველდღე უფრთხილდებოდნენ, ეფერებოდნენ, უვლიდნენ. ჩანს, ჩვენი მშობლების მშობლებსაც და იმათ წინაპარსაც ეს ხე გამიზნულად დაერგო სამეზობლო ღობის შუაში და იგი ექცია სიყვარულის ღობედ, საზღვრად და არა უბრალოდ, ხედ.

გავიდა წლები, ცხოვრებამ დაგვაბერა, ჩვენი მშობლები იქეთ ქვეყანაში გაიკრიფნენ, ამ სასაზღვრო ჭერმის ამბავი კი ჩემს მეხსიერებას დღემდე შემორჩა იმის დასტურად და სახელმძღვანელოდ, რომ მშობლებისაგან უნდა ისწავლონ შვილებმა სიკეთითა და სიყვარულით ურთიერთობა, გამეტება და თავგანწირვა, დაფასება და მოფერება... ერთი თხილის გულის ცხრად გაყოფის თეორია და არსი. ხშირად ვფიქრობ, რა ბედნიერება იქნებოდა, ასე სიკეთისა და სიყვარულის ურთიერთგაცვლით რომ ცხოვრობდნენ ცალკეული ერები და ეთნოსები დედამიწაზე, დიდი და პატარა სახელმწიფოები, თუნდაც ყველა მეზობელი, ჩვენს პატარა საქართველოში...

სიკეთეზე დიადი და ამაღლებული, რა არსებობს? იგი ხომ მზესავითაა და მზისგან დამწიფებული ჭერმის ნაყოფივით ტკბილია, იმდენად ტკბილი, რომ მზის გემო აქვს და განუმეორებელი სურნელი.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვენი სამეზობლო დიპლომატია მთელმა სოფელმა იცოდა, ჰკვირვობდნენ, მთელი ცხოვრება თქვენი ეზოებიდან მაღალი და უწესრიგო ხმა არავის გაგვიგონია, დღენიადაგ ასე სიამტკბილობით როგორ ცხოვრობთო?!

ფაქტია, რომ ჩვენი წინაპრები ასე სიამტკბილობით ცხოვრობდნენ საქართველოს ყველა კუთხეში.

დღეს?..

მზის გემო უცნაურია, არა? ვინ გაუსინჯა მზეს გემო... მაგრამ, განა მზით არ უდგას სული ყოველივეს და მათ შორის ხატოვან ქართულ სიტყვასაც... მეც, მეჩვენებოდა ბავშვობიდან, რომ არსებობს მზის სული, მზის ფერი, მზის სითბო, მზის სისხლი, მზის ცრემლები და მზის გემოც და რომ, ეს მზეობა ჩვენში, თითოეულში მანამდეა, სანამ სიკეთით ვცხოვრობთ დედამიწაზე, როგორც კი გავბოროტდებით, მზეს ფერიც ეკარგება, სითბოც, სინათლეც და გემოც...

მოკლედ, ჩემი ნაწერი მზის გემოზეა და არა მხოლოდ მასზე...

საუკუნის უტყუარი ხმა!



რუსეთმა ადამიანთა, ყოველთა და ყოვლის გამანადგურებელი ომი თუ არ შეწყვიტა უკრაინაში, აი რა მოელის კაცობრიობას და პლანეტის ცივილიზაციას!

პროვინციელის არაპროვინციელი შემოქმედება

დღეს, ინტერნეტის ბობოქრობის ვითარებაში, სარისკოც კია ცნება ,,პროვინციელის“ გამოყენება. მით უფრო ითქმის ეს თანამშრომელზე იმ გაზეთისა, რომელიც გაცილებით უფრო დიდხანს მაკითხვინებს თავს, ვიდრე დედაქალაქში გამომავალი მსგავსი პროფილის ორგანოები. სწორედ ასეთია ,,ლიტერატურული მესხეთი“ და მისი ერთი რიგითი, ოღონდ ერთობ მნიშვნელოვანი თანამშრომელი სოსო გიქოშვილი, ამ დღეებში რომ 60 წელი შეუსრულდა.

ენობრივი სიწმინდის თვალსაზრისით, ჩვენი კაზმულსიტყვაობის ამირბარი დიახაც გახლავთ გიორგი შატბერაშვილი, ამ მხრივ ,,ქართველთა ფლობერი“, და არ არის შემთხვევითი, რომ ჩვენმა ბედნიერმა იუბილარმა სწორედ ამ პროზაიკოსის შემოქმედებაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ,,გულს გული იცნობს და ღონეს — ღონე“. ბატონი სოსო გიქოშვილის შენათხზიც გამართული სინტაქსით, სწორი ორთოგრაფიული ფორმებით, გერგილიანი ქართულით გამოირჩევა. ეს მადლი კეთილად დასტყობია მის ლიტერატურულ წერილებს, რეცენზიებს, გამოხმაურებებს...

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დღეს სწორედ მწერლობაშია სანთლით საძებარი ქართულის კარგად მცოდნე კალმოსანი და ერთ-ერთი მათგანია სოსო გიქოშვილი. სიამოვნებით ვულოცავ მას ამ ბრძნულ თარიღს და ახალ წარმატებებსა და ჯანმრთელობას ვუსურვებ.

მურმან თავდიშვილი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
შოთაობის დახურული კონკურსის ორგზის გამარჯვებული

ვალერიან ლომიძე – 80

ბორჯომის დიდი სიამაყე



ყველა ქალაქსა თუ სოფელს თავისი გამორჩეული ადამიანი ყავს, როგორც იტყვიან – თავისი კოლორიტი, ისე, უმისოდ, არც სოფელი ვარგა სოფლად და არც ქალაქი – ქალაქად. აი, როცა დიდ-პატარამ იცის, ვინაა მისი სოფლისა თუ ქალაქის კოლორიტული პიროვნება, სწორედ ესაა ამ ადამიანისათვის მთავრი და მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და ზეგავლენის მოხდენაც შეუძლია გარშემო მყოფელებზე.

ბორჯომში თუ ვინმეს ეთქმის სიტყვა, ერთ-ერთი, ვალერიან ლომიძეა, სიტყვის დიდოსტატი კაცი, რომელზეც აუგის მთქმელი იშვიათად თუ მოიძებნება.

ქვეყანას ქვეყნის მოსიყვარულე, პატრიოტი ადამიანები ჭირდება, რომლისთვისაც უპირველესი პატრიოტიზმი და მართალი საქმის კეთებაა. დღევანდელ ურთულეს ეპოქაში ცხოვრება, მაშინ, როდესაც ადამიანების უმრავლესობის ინსტიქტი, სამწუხაროდ, თვითგადარჩენისკენაა მიმართული და რიგი ადამიანები მხოლოდ საკუთარი „მეს“ დაკმაყოფილებისკენ ილტვიან, ხოლო სამშობლოს ცნება საკუთარ კეთილდღეობაზე გადის, ძნელია ამ ხალხში მოძებნო ქვეყანაზე დამაშვრალი ადამიანები, რომლებიც მზად არიან უპირველეს საზრუნავად, უსახსრობის და წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც ქვეყანაზე იფიქრონ და მის სიყვარულში ჩაიფერფლონ.

ვინც კი თვალს გადაავლებს ვალერიან ლომიძის ბიოგრაფიას, უსათუოდ დარწმუნდება, ასეთი დიდი ერუდიციისა და შემართების ადამიანმა მთელი თავისი ცხოვრება როგორი შემართებით გაატარა და წარბიც კი არ შეუხრია, დაეძლია უამრავი კრიზისული მომენტი და ქვეყნის მუნიციპალურ გაზეთებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გაზეთის – „ბორჯომის“ რედაქტორის ტიტული რომ მოეპოვებინა.

ვალერიან ლომიძემ ყველა თავისი დამსახურება საკუთარი ოფლითა და არაადამიანური შრომით რომ მოიპოვა, ნებისმიერმა ბორჯომელმა იცის. „მკაცრი და მომთხოვნი კაციაო“, ხშირად გაიგონებთ მისი თანაქალაქელებისაგან. ასეც უნდა იყოს! ლმობიერებით სოფელი არავის აუშენებია. „ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“ – ეს მისი ცხოვრების კრედოა. კარგ კაცს სიკეთეს სიკეთით უხდის და ცუდს – სწორ გზაზე დაყენებას ასწავლის. ერთი კია, იგი სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცია და თითოეული მისი წინ გადადგმული ნაბიჯი ქვეყნის უკეთესი მერმისისკენაა მიმართული. რა უნდა მოხდეს ისეთი ბორჯომში – დიდი შეხვედრა თუ საპატიო სტუმრის მიღება, რომ ვალიკო ლომიძე იქ არ იყოს, მარტო იმიტომ კი არა, რომ სხვებზე მეტი ეთქმის, სხვებზე მეტი აწონილი სიტყვის გამოხატვა შეუძლია, არამედ, იმიტომ, რომ იგი მუნიციპალიტეტის საზოგადოების სახეს წარმოადგენს. ყველა შეხვედრაზე აქტიურობს, რათა მშობლიურ ქალაქს შეეხიდოს და მის საკეთილდღეოდ „დიდ სტუმართან“ დიდი სიტყვა შეაწიოს.

ეს მისი კრედოა, ჩვევად რომ ჩამოუყალიბდა. საზოგადო საქმიდან მოწყვეტა კი მისთვის წარმოუდგენელია, რადგან სიკეთე ქვეყნისთვის უნდა, თორემ ჩაიკეტებოდა თავის ნაჭუჭში და სიბერეს სიამტკბილობაში გაატარებდა.

ჩვენი უფროსი მეგობარი ვერცხლის წყალივითაა – იგი არა მარტო თავის გაზეთზე ზრუნავს, რომელიც მისმა დაუღალავმა შრომამ გადაარჩინა, არამედ მისი წერილები, საინტერესო, – დროის შესაფერისი პუბლიკაციები, ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე ძალიან ხშირად იბეჭდება და არც ჩვენი გაზეთი ავიწყდება, რომელთანაც ძალიან ახლო, მეგობრული ურთიერთთანამშრომლობა აკავშირებს.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სახელით ვულოცავ ვალერიან ლომიძეს, ჩვენს ერთგულ მეგობარს, 80 ნლის იუბილეს და გვჯერა, კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს მისთვის მრგვალი საიუბილეო თარიღის მილოცვა და მას კვლავაც დიდხანს, ძალიან დიდხანს, ჭაბუკური შემართებით ვიხილავთ რედაქტორის ამპლუაში.

ჯანმრთელობა, ტანმრთელობა, ალალი გულით დიდი შემოქმედებითი წარმატებები გვისურვებია თქვენთვის, ჩვენო დიდო და ერთგულო მეგობარო!

დიდი სიყვარულით,

ავთანდილ ბერიძე

ჩვენი ენერგიადაუშრეტელი რედაქტორი

როდესაც ბატონმა ავთანდილ ბერიძემ მთხოვა, საიუბილეოდ ცოტა რამ მეთქვა ჩემს რედაქტორზე, 80 წლის ვალერიან (ვალიკო) ლომიძეზე, საგონებელში ჩავვარდი. გამახსენდა სულხან-საბას იგავ-არაკი „მეფე და მხატვარი“. ცალთვალა მეფემ მხატვარს უბრძანა: დამხატეო. მხატვარი საგონებელში ჩავარდა: ცალთვალა რომ დავხატო, მომკლავს, ცალთვალა რატომ დამხატეო, ორი თვალით რომ დავხატო, მაშინაც მომკლავს: ორი თვალი როდის მაქვსო. დიდი ფიქრის შემდეგ, მეფე ნადირობისას დახატა, ირემს იმ მოჭუტული თვალით თოფს უმიზნებდა! გადარჩა მხატვარი.

მეც იმ მხატვარივით ვარ ჩავარდილი საგონებელში: ჩემი სამსახურებრივი უფროსი მეტის-მეტად რომ შევაქო, მკითხველები პირფერობაში ჩამითვლიან, თუ რაიმეს დავაკლებ, თვითონ მას ეწყინება და „გულში ჩაიდებს“ (ამას ხუმრობით ვამბობ, რასაკვირველია).

ვ. ლომიძე თანამშრომლებთან

ვალერიან ლომიძე გოდერძი ჩოხელთან და მეგობრებთან ერთად

საქმეს ის მიადვილებს, რომ ბატონი ვალერიანის აქამდე მოტანილი ცხოვრება ღირსეულად განვლილი ცხოვრებაა და ახლაც კი საოცარი ენერგიით სავსეა მომავალ სიძნელეებთან შესაბმელად.

ნახევრად ობლობაში გაიზარდა. მამა ომიდან დაჭრილ-დაინვალიდებული დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა. ოთხი შვილის რჩენა დედას უჭირდა, მაგრამ პატარებმა თითქოს ერთმანეთს და დედას შეჰფიცეს, რომ ყველანაირად დაეხმარებოდნენ მას ოჯახის ფეხზე დადგომაში და ასეც მოიქცნენ. მახსოვს ვალიკოს ნაამბობი: უმაღლესში გორში ვსწავლობდი და ლექციების შემდეგ თანაკურსელებთან ერთად ვაგონების დასაცლელად მივეშურებოდი სადგურზე, რათა ცოტაოდენი ფული მეშოვაო. ასე სულ სწავლა-მუშაობაში გაატარა 4-5 წელი.

უმაღლესის დამთავრების შემდეგ ჯერ აღმზრდელ-მასწავლებლად მუშაობდა ბორჯომის პროფსასწავლებელში, შემდეგ – ტურისტულ ბიუროში. ტურისტებთან ერთად ლაშქრობებში ფეხით შემოიარა მთელი სამცხე-ჯავახეთი. მშობლიური მხარის გაცნობასთან ერთად იზრდებოდა და მაღლდებოდა მასში სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. შემდეგ პარტიის რაიკომში დაიწყო მუშაობა ინსტრუქტორად. ფოტოაპარატი კარგად იცოდა. ფოტოგრაფის ხელობა მაშინ ერთეულებმა იცოდნენ. რაიონული გაზეთის რედაქციას რადგან ფოტოგრაფი დასჭირდა, რაიკომიდან დროებით იქ მიავლინეს სამუშაოდ. სურათების გადაღებასთან ერთად ხშირად უწევდა საგაზეთო წერილების წერაც. ჟურნალისტის პროფესიას, ხალხთან უშუალო ურთიერთობას, ალღო აუღო და მალე მიიღო მეორადი უმაღლესი ჟურნალისტური განათლება. რაიკომში მიბრუნებული ისევ რედაქციაში მიიწვიეს, ახლა უკვე რედაქტორის მოადგილედ. მაშინ რა იცოდა ბატონმა ვალერიანმა, რომ რედაქციის მუშაობას ვეღარ მოწყდებოდა და ვერც შეელეოდა.

50 წელზე მეტია, რედაქციაში მუშაობს, აქედან 31 წელი რედაქტორია. ამ მხრივ (რედაქტორის უწყვეტი სტაჟით) ბატონი ვალიკო, ალბათ, ერთ-ერთი რეკორდსმენია მთელ საქართველოში.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და მაშინდელი ხელისუფლების უგუნური ბრძანებით სტამბა და რედაქცია ერთმანეთისგან გათიშეს, ჯოჯოხეთურ პირობებში მოუწია ვალიკოსაც და მთელ კოლექტივსაც მუშაობა. რედაქცია და სტამბა ერთ შენობაში მდებარეობდა. რედაქცია მაღლა იყო, სტამბა – პირველ სართულზე. რაღაც მიზეზით სტამბამ უარი გვითხრა გაზეთ „ბორჯომის“ ბეჭდვაზე. რედაქტორი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. გაზეთს ერთი-ორი წელი ხან ხაშურში ვბეჭდავდით, ხან – ქარელში. აღარც სახელმწიფო (გამგეობა) გვაფინანსებდა. სხვა რედაქტორის ხელში ჩვენი რაიონული გაზეთიც დაიხურებოდა, როგორც უმრავლესი გაზეთი დაიხურა მთელ რესპუბლიკაში, მაგრამ ამ სიბნელის ჟამს გამოჩნდა ჩვენი რედაქტორის უტეხი ნება და მიზანსწრაფულობა. მან მიზნად დაისახა საკუთარი სტამბის შექმნა. მაგრამ, როგორ? გაზეთი იბეჭდებოდა უზარმაზარ, რამდენიმეტონიან საბეჭდ მანქანაზე (ლინოტიპზე). ბატონმა ვალიკომ თბილისში, როგორღაც, იშოვა ეს საბეჭდი დაზგა-მანქანა და ბორჯომში ჩამოიტანა, მაგრამ, როგორ უნდა აგვეტანა მეორე სართულზე? აქაც მონახა გამოსავალი, ერთ-ერთი ფანჯრის ირგვლივ კედელი ფართოდ გამოანგრია. მანამდე 5-6 მეტრის რელსები სადღაც იშოვა და ისინი სტამბის ოთახში დაამაგრა შენობის საყრდენ კედელზე. უამისოდ საბეჭდი მანქანა თავისი სიმძიმით პირველი სართულის ჭერს ჩამოანგრევდა. შემდეგ ამწეკრანით ეს დაზგაც შემოვიტანეთ და რელსებზე დავდგით. მახსოვს, მაშინ, როგორ ღრმად ამოვისუნთქეთ და ათიოდე თანამშრომელმა ტაში დავსცხეთ.

შემდეგ კვლავ იყო დიდი სიძნელეები, მაგრამ ვალიკოს ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ელელო მაინც გაგვქონდა. შემდეგ კომპიუტერი შემოიჭრა ჩვენს ყოფაში და ის უზარმახარი საბეჭდი მანქანა დასაჭრელი გაგვიხდა. სპონსორების წყალობით ვარსებობდით. სპონსორებსაც რედაქტორის ავტორიტეტის წყალობით ვპოულობდით. გაზეთი „ბორჯომი“ სიცოცხლეს აგრძელებდა.

ბოლო ათი წელია, რაიონის ხელმძღვანელობა ფინანსურად გვეხმარება. უამისოდ გაზეთი დაიხურებოდა. ამაში კი ლომის წილი ისევ ჩვენს რედაქტორს ვალიკო ლომიძეს მიუძღვის.

10-კაციანი კოლექტივი ერთ მუშტად შეგვკრა. ჩვენი გაზეთი შინაარსით რესპუბლიკური თუ სამხარეო გაზეთების გამოჩენილ ჟურნალისტებსაც მოწონთ. ეს მომთხოვნი რედაქტორის „ბრალიცაა“. იგი მკაცრიცაა და თითქოს არცაა xxxxკაცრი. ზოგჯერ ლუარსაბივით და მისი მოურავივით „ყმებს“ რომ „დაგვერევა“, მაშინ არჩილ მეფის „შოთა რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასებიდან“ სტრიქონს შევაგებებ ხოლმე: „ყმები ყველა გაგეცლებით, გაგვიხდები შენ მარტო რას?“ გაეღიმება და ჩაცხრება. პირში ქება არ უყვარს, ცალ-ცალკე ყველას აქებს სხვასთან, ყველას ნაწერი მოწონს, მაგრამ უფრო მეტს გვთხოვს. საამაყოდ აქვს: „ამდენი ხნის რედაქტორი ვარ და ჯერ ვინმე სამსახურიდან არ დამითხოვიაო.“ ღირებულ მასალას ყოველთვის გზას უკვალავს გზეთში. მახსოვს, თითქმის მთელი ღამე გავათენე (მუზა მომივიდა(!) და ლექსი „ვედრება უფლისადმი“ თავისი კომენტარით დავწერე (ეს ლექსი ქართველთა გამრავლება-გადარჩენას ეხებოდა). მეოთხე დილით რედაქტორს მივუტანე. პირში არ შემაქო, მაგრამ ლექსი მოეწონა, მეორე გვერდი გავსებული იყო, მაინც დაამლევინა და ეს ლექსი ჩასვა თავისი კომენტარით (სხვათა შორის, ეს ლექსი თავისი კომენტარით „საქართველოს რესპუბლიკამაც“ დამიბეჭდა უჩა გოგოლაურის ფსევდონიმით.)

ბატონი ვალიკო მარტო რედაქტორი როდია. ის ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების სული და გულია. ყველა ღონისძიებაზე მას ეძახიან, სიტყვაში გამოსვლას სთხოვენ. თავის წონად სიტყვას ყველგან ამბობს. არის ბრწყინვალე თამადა. ქალაქში რაიმე ლხინია თუ ქელეხი, მისი თამადობის გარეშე თითქმის არ ტარდება, ვერავის ეუბნება უარს. რამდენიმე ათეული წელი დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე იყო, რესპუბლიკის მასშტაბით – ლომიძეების საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარეა. ათეული წელი ხელმძღვანელობდა „ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის“ გამგეობას, ახლა ახალი ორგანიზაცია – „ბორჯომელები“ შექმნა. რაიონის ხელმძღვანელობას ეხმარება პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, აყენებს ნოვატორულ წინადადებებს, მის სიტყვას არც კრიტიკა აკლია გაზეთის ფურცლებიდან თუ სხვადასხვა შეხვედრებზე.

ქალაქის განაპირას ცხოვრობს. კილომეტრნახევარს სულ ფეხით დადის რედაქციამდე. თავის მცირე ფართობის ეზოში ფიზიკურ მუშაობას ეწევა, შრომისმოყვარეობით ყველას აოცებს.

თავის წვადაგვით შენარჩუნებულ გაზეთს ვერ შეელია, თორემ სხვა გზა რომ აერჩია, თავისი გაქანებით და ნიჭით, ან კარგი ბიზნესმენი დადგებოდა, ან რესპუბლიკის მასშტაბით – გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე.

შექმნა დიდებული ოჯახი თანაკურსელ ლია ბიბილაშვილთან ერთად. მისი ორივე ქალიშვილი დაოჯახებულია და თბილისში ცხოვრობენ. შვილები, შვილიშვილები ხშირად სტუმრობენ ბორჯომში ბებო-პაპას. თან უამრავ სტუმრს მოიყოლებენ ხოლმე. აბა, ბორჯომში ყოფნა ვის არ უნდა! მასპინძელიც დიდებულად ხვდება თავისი „ჭურ-მარანით“, განთქმული თამადობით და მოლხენით...

რვა ათეული წელი დაკეცა. მაინც გასაოცარი ენერგიით სავსეა. არის ღირსების ორდენის კავალერი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, სერგეი მესხის ჟურნალისტური პრემიის ლაურეატი, „ოქროს კალმის“ მფლობელი...

იგი ბორჯომის ნამდვილი კოლორიტია. ვერც ბორჯომი ძლებს უიმისოდ და ვერც იგი ძლებს უბორჯომოდ.

კვლავაც დღეგრძელობა-მზეგრძელობას ვუსურვებთ ჩვენს ენერგიადაუშრეტელ რედაქტორს! კალამი არ დაჟანგებოდეს, სამშობლოს სიყვარულის გრძნობით და მშობლიურ ქალაქზე ზრუნვით კვლავაც დიდხანს მისაბაძი ყოფილიყოს ყველასთვის!

უშანგი ჯანგირაშვილი,

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

სერიიდან: „ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპირებული სოფლები"

სოფელ იკოთის წარსულიდან

ახალგორიდან ჩრდილოეთით მგზავრობისას, პირველად იკოთს ვეწვევით, რომელიც დაბის ცენტრიდან 3 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, მდებარეობს, ზღვის დონიდან 960 მეტრზე. იკოთი ისტორიულ წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენიება, თუმცა აქ მოსახლეობა უძველესი დროიდან ცხოვრობდა, რასაც სოფელში აღმოჩენილი გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებს 1955 წელს ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვითმა ექსპედიციამ ქსნის ხეობაში რამდენიმე ნამოსახლარ გორას მიაკვლია და აღნუსხა, მათ შორის სოფელ იკოთშიც, სადაც ბრინჯაოს ხანის ფენები დადასტურდა. დღეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია იკოთში აღმოჩენილი ვერცხლის სხივებიანი საყურე და ბრინჯაოს საკიდი.

იკოთი თავის აღწერებში მოხსენიებული აქვს XVIII საუკუნის გერმანელ მოგზაურს **იოჰან ანტონ გიულდენშტედტს,** იგი ახდენს სოფლის ლოკალიზაციას და მიგვითითებს, რომ იკოთი მდებარეობს მდინარე გუმაელაზე, ლორწობნის მთის დასავლეთ ძირთან და ემორჩილება ქსნის ერისთავს. ბოლო პერიოდში იკოთი ახალგორის მუნიციპალიტეტის ბოლის თემში შედიოდა.

სოფ. იკოთი.

სოფელში რამდენი ღირშესანიშნავი ძეგლი მდებარეობს, მათ შორის გარდამავალი ხანის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია, რომელიც აშხადურას სახელითაცაა ცნობილი, გვიანი შუა საუკუნეების წმინდა ბარბარეს და წმინდა მარინეს ეკლესიები და ამავე პერიოდის რიყის ქვით ნაგები კომკი მოურავ ფიცხელაურების კარ-მიდამოში, ახშადის წმინდა გიორგის ტაძარი სოფელთან ახლოს, ტყეშია აგებული, ოდესღაც დიდი ტაძარი დღეს დაზიანებულია. წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის სამხრეთ კარიბჭეში მოთავსებულ მარმარილოს ფიქალზე მხედრული წარწერაა, რომელიც მცენარეთა ორნამენტებითაა მორთული. სოფლის დასავლეთით წმინდა გიორგის სახელობის კიდევ ერთი ტაძარია აგებული. იგი თავის დროზე ბერ-მონაზონთა სიმრავლით ყოფილა გამორჩეული, რის გამოც ტაძრის ტერიტორიას შაოსანთა მთას ეძახდნენ. ფიცხელაურების სათადავადაზნაურო, საგვარეულო კოშკი საცხოვრებელი იყო და იქ ამ გვარის არაერთი თაობა გაზრდილა, მეორე სართული თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა.

სოფელს ჯავარად წარმოსდგომია XVIII საუკუნეში აგებული ქსნის ერისთავთა საზაფხულო სასახლე, რომელიც ცნობილმა თავადმა **გენო ქობულაშვილმა** შეიძინა და შემდეგ სიძე - ქალიშვილს მიხეილ ბაგრატიონ მუხრან-ბატონსა და ნინო ქობულაშვილს აჩუქა ქორწილის დღეს. მიხეილი სიცოცხლის ბოლომდე ამ სასახლეში ცხოვრობდა. მან თავის დროზე სასახლის სამი ოთახი სოფლის სკოლას დაუთმო, სადაც, აქაური ბავშვები 1988 წლამდე ეუფლებოდნენ საშუალო განათლებას. მოგვიანებით სასახლე გაპარტახდა... 2003 წლის 10 ივნისს ცხინვალისა და ნიქოზის მიტროპოლიტის, **ისაიას** ლოცვა-კურთხევით სასახლეში წმინდა ბერის – ალექსი შუშანიას სახელობის დედათა მონასტერი დაარსდა, აიგო მცირე ზომის ეკლესია და სამრეკლო, მოეწყო სენაკები.

თვით სახელწოდება „იკოთი", ხალხური გადმოცემით, მამაკაცის საკუთარ სახელს უნდა უკავშირდებოდეს. აქ დასახლებული კიკოს მემკვიდრეები კიკოსშვილებად დაეწერნენ და სოფელსაც კიკოთი (შემდგომში იკოთი) დაერქვაო...

არაერთი სახელოვანი ადამიანის სტუმრობა ახსოვს იკოთს, აქ მოსახლე ფიცხელაურები ხშირად მასპინძლობდნენ დიდ ქართველებს, მათ შორის **ილია ჭავჭავაძესა** და **ექვთიმე თაყაიშვილს.** ექვთიმემ ფიცხელაურების ოჯახში ბევრ ისეთ ისტორიულ დოკუმენტს მიაკვლია, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საქართველოს ისტორიის შესწავლაში. გავიხსენოთ თუნდაც ქართული სამართლის უნიკალური ძეგლი „გარიგება ჴელმწიფის კარისა", რომელიც ამგდარ ერისკაცს სწორედ იკოთში უნახავს *(ცაგურაშვილი, 2007*). ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურული, ეკონომიური და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვსო – ბრძანებდა **ივანე ჯავახიშვილი.** მართალია ტექსტის ნახევარზე მეტი დაკარგულად ითვლება, მაგრამ გადარჩენილიც ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა. ერთობ საინტერესოა ექვთიმეს მიერ იკოთში ნაპოვნი და შემდეგ გამოცემული „ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობის" შესავალი, სადაც წერს: „ეს ძეგლი ვიპოვე 1908 წელს, ქსნის ხეობაში არქეოლოგიური მოგზაურობისას, სოფელ იკოთში. იგი 35 სიგელ-გუჯართან ერთად აღმოაჩნდა ვახტანგ ივანეს-ძე ფიცხელაურის დედას, რომელმაც ჩემი თხოვნით შემოსწირა ყველა ეს საბუთი მაშინ ახალდაარსებულ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" მუზეუმს. სიგელ-გუჯრები ადრევე გამოვეცი... ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რა საგანძური ინახებოდა ქსნის ხეობის ამ უმშვენიერეს სოფელში... ამ საგანძურის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სასულიერო პირი, ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების წევრი ილარიონ ჯაში: *„ბევრი გუჯრები მინახავს სოფელ იკოთში მცხოვრებელი აზნაურის ივანე არჯევანის ძე ფიცხელაურის სახლში... ამათ გუჯრებში ხშირად ნახავდით გიორგი XIII-ის მოწერილს ხელს და ბეჭედს. ეჭვი არ არის, რომ ამ გუჯრებში ბევრი საინტერესო რამე მოიძევება".* ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად ყურადსაღებია ის ნივთიერი კულტურა, რომელიც ახალგორის მოურავების ოჯახში ინახებოდა, მათ შორის ტყავზე დაწერილი „ვეფხისტყაოსანი" და ლურჯ ქაღალდზე ხელნაწერი გრამატიკა, რომლებიც ილარიონ ჯაშისთვის დედინაცვალს – იკოთელ ფიცხელაურის ქალს უჩუქებია. იმ დროს ჯაში თბილისის სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასის მოსწავლე იყო, ხელნაწერი წიგნები ერთ-ერთ მასწავლებელს გამოურთმევია და აღარ დაუბრუნებია... ილარიონის მონათხრობით დიმიტრი არჯევანის ძე ფიცხელაურს, შემდგომში **მთავარეპიკოპოს დოსითეოზს** „დაუტოვებია ორი შესანიშნავი ხატი. ერთი მათგანი, როდესაც გაყრილან ეს ოჯახი ივ. ფიცხელაურის ბიძაშვილს (ქალს) შეხვედრია და დუშეთის ეკლესიისათვის შეუწირავს, მეორე კი დღესაც იკოთის ეკლესიაში ასვენია. ეს ხატი მთლად წაჰგავს რაფაელის მადონას და გარშემო ნაწილებია წმინდანების, თუ არ ვცდები რიცხვით ოც-და-ოთხი. ამ უკანასკნელ ხატში ქსნის ერისთავს გიორგის, კნეინა ქეთევან ჯამბაკურიან ორბელიანის მამას სამი სოფელი ყმითა და მამულით უძლევია დოსითეოზისათვის და მაინც არ მიუცია. ეს უთქვამს ჩემთვის ივანე ფიცხელაურს." ფიცხელაურების შესახებ ქვემოთ ცოტა უფრო ვრცლად ვისაუბრებთ...

იკოთი. წმინდა მარინეს ეკლესია

რაც შეეხება ჩვენი კვლევის ძირითად საკითხს; უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის დასაწყისში იკოთში არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის 1804 წელს ყოფილ ქსნის საერისთავოში ჩატარებული პირველი რუსული კამერალური აღწერა. ჩვენ ვისარგებლეთ ბეჭდური პირით, რომელიც დაცულია გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. აღნიშნული მასალები მუზეუმისთვის 1956 წელს შენიშვნებითა და კომენტარებით გადაუცია პროფესორ **სარგის კაკაბაძეს.** ცნობილი მეცნიერის სამართლიანი შენიშვნით: *„აღწერა იძლევა ძვირფას ცნობებს სათანადო სოფლებისა და მხარეების მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესახებ, არკვევს აგრეთვე ამ მოსახლეობის სოციალურ რაობას, საკომლო კერძო მფლობელობის შეხამებას სათემო მფლობელობასთან და სხვა".* აღსანიშნავია ისიც, რომ ნაბეჭდ ტექსტში სახელებისა და გვარების მითითებისას, მთელი რიგი შეცდომებია დაშვებული, რასაც შეძლებისდაგვარად ვაზუსტებთ...

1804 წლის კამერალური აღწერით იკოთში 51 ოჯახი ცხოვრობდა, აქედან 33 კომლი ერისთავის მიწაზე, 18 კომლი – ჩვენგან ზემოთ უკვე რამდენჯერმე ნახსენები ფიცხელაურების. ისინი წარმოშობით ხევსურეთის სოფელ ბაცალიგოდან არიან გადასახლებული ჯერ გუდამაყრის სოფელ ბაკურხევში, მოგვიანებით კი კახეთის სოფლებში, თიანეთში, ხევში, საიდანაც ქსნის ხეობაში დაემკვიდრნენ და ახალგორის მოურავობამდეც მიაღწიეს.

მოურავი საკმაოდ გავლენიანი პიროვნება გახლდათ. „იგი მისთვის სამოურაოდ მიცემული ქალაქის უფროსი იყო". მას ევალებოდა სამართალზე, ქალაქის მოვლასა და ბეჯითად გარჯაზე ზრუნვა, რაშიც განსაკუთრებული მცდელობა და თავდადება უნდა გამოეჩინა. ქსნის საერისთავოში ერისთავისაგან დანიშნულ მოხელეს სასამართლო და ადმინისტრაციული საქმეები უნდა განეგო.

XVIII საუკუნეში ახალგორის მოურავად ინიშნება აზნაური **არჯევან ფიცხელაური,** იგი გახლდათ ჟამურის მოურავიც. არჯევანი ფლობდა დიდძალ მიწებს, მისი აგებულია იკოთში კოშკი თავისი გალავნით. როგორც ჩანს, ფიცხელაურები ვერ ეგუებოდნენ ერისთავთა ბატონობას და ხშირად უპირისპირდებოდნენ. 1777 წელს, როცა ქსნის საერისთავო გაუქმდა, ამ საქმეში ერეკლე მეფის ერთგულ მხარდამჭერთა შორის ფიცხელაურებიც ყოფილან. რაც სათანადოდ უფასდებოდათ. ფიცხელაურთა სახლის კიდევ ერთი წარმომადგენელი **ზურაბი გიორგი ბატონიშვილის** 1778 წლის წყალობის წიგნით იღებს ქსნის ბოქაულთუხუცესობას, ასევე ჭურთის ხეობისა და წირქოლის მოურავობას. *არჯევანს კი მოურავობასთან ერთად ქსნის სახლთუხუცესობა ეპოძა.*

არა მარტო საქართველოში, რუსეთის იმპერიაშიც საკმაოდ ცნობილი მოღვაწე გახლდათ მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (დიმიტრი ფიცხელაური), ქვათახევის, შიომღვიმის, თირის, ხოფის და ლარგვისის მონასტრების წინამძღვარი, ურბნისის, გორის, ოსეთის ეპარქიის ეპისკოპოსი, ეგზარქოსის ქორეპისკოპოსი და კავკასიის მთის ქორეპისკოპოსი, გორის სავიკარიოს მღვდელთმთავარი... დოსითეოსი იკოთში იყო დაბადებული, იგი სწორედ არჯევანის მეოთხე ვაჟი გახლდათ, ისიც თავის ძმებთან ერთად ქსნის ერისთავების წინააღმდეგ იბრძოდა და, მაინცდამაინც, არც რუსული მართველობა მოსდიოდა თვალში, 1810 წლის მარიამობას იმპერიის გერბი ეკლესიის იატაკზე დაუნარცხებია.

XIX საუკუნის აღწერაში ფიცხელაურები მხოლოდ მიწის მფლობელებად და მებატონეებად არიან მოხსენიებული და არა ცალკე კომლებად, განსხვავებით XVIII საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობებისა. ერეკლეს დროინდელ აღწერებში, ისინი კომლადაც აღინუსხებიან და იქვე მათი ყმებიცაა მითითებული...

აღსანიშნავია ისიც, რომ ფიცხელაურების ყმები სახაზინო გადასახადს არ იხდიან, მხოლოდ მემამულეების წინაშე არიან უშუალოდ პასუხისმგებელნი...

მივყვეთ აღწერას.

აქ მცხოვრები ქართველები:

1) ივანე გაგაური შვილი (გიგაური - დ.ა), 5 მამაკაცი, 6 ქალი, 14 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 360 თუნგი ღვინო, 1 წისქვილი თავისი პურისთვის, გადახდილი აქვს ხორბალი 3 და ქერი 2 კოდი, ფული – 50 კაპიკი, კარაქი 2 ფუთი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 4 მანეთი და 49 1/2 კაპიკი;

2) ბერი გიგაური შვილი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, 15 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი. მოჰყავს 480 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 4 მანეთი და 49 1/2 კაპიკი;

3) პეტრე გიგაური შვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი. მოჰყავს 300 თუნგი ღვინო, 1 წისქვილი თავისი პურისთვის, გადახდილი აქვს თითო-თითო კოდი ხორბალი და ქერი, კარაქი 1 ფუთი, ფული – 50 კაპიკი, ქათამი და 2 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 82 კაპიკი.

4) ბერი გიგაური შვილი, 2 მამაკაცი, 3 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 82 კაპიკი.

5) მახარა ხუცი შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, გადახდილი აქვს ნახევარ-ნახევარი კოდი ხორბალი და ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, ნახევარი ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 78 1/2 კაპიკი.

6) ფოცხარი გიგაური შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი. მოჰყავს 360 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს 3/4 კოდი ხორბალი და 3/4 კოდი ქერი, კარაქი 1 ფუთი, ნახევარი ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი;

7) ნინია გიგაური შვილი, 2 მამაკაცი, 4 ქალი, 9 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი. მოჰყავს 240 თუნგი ღვინო, 1 წისქვილი თავისი პურისთვის. გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი;

8) დათუნა გიგაური შვილი, 4 მამაკაცი, 5 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა. გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი;

9) ბერი გიგაური შვილი, 3 მამაკაცი, 4 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 1 წისქვილი, 1 ბაღი. მოჰყავს 10 კოდი პური, 120 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვს 3/4 კოდი ხორბალი და 3/4 კოდი ქერი, კარაქი 1 ფუთი, ნახევარი ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

10) გოგია გიგაური შვილი, 2 მამაკაცი, 6 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი. მოჰყავს 240 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი;

11) ზურაბ გიგაური შვილი, 4 მამაკაცი, 4 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი. მოჰყავს 180 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი;

12) ვასილი მამარნაშვილი (მემარნიშვილი - დ.ა), 5 მამაკაცი, 5 ქალი, მიწა არა აქვს და გადასახადიც არ გადაუხდია, გამომუშავებაზეა;

13) ბერი გიგაური შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი. მოჰყავს 84 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი;

14) შიო გიგაური შვილი, 5 მამაკაცი, 10 ქალი, 30 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი. მოჰყავს 360 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 2-2 კოდი ხორბალი და ქერი, 1 ცხვარი, კარაქი 2 ფუთი, ქათამი და 5 კვერცხი, ფული – 50 კაპიკი, სულ: 4 მანეთი და 62 1/2 კაპიკი;

15) ზურაბ გიგაური შვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ნახევარ-ნახევარი კოდი ხორბალი და ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, 1/4 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 75 კაპიკი;

16) ივან ზანგურაშვილი, 2 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გა-

დახდილი აქვს 75 1/2 კაპიკი.

17) იესე ზანგურაშვილი, 4 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 75 1/2 კაპიკი;

18) ოთარ გიგაური შვილი, 5 მამაკაცი, 5 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 3/4 კოდი ხორბალი და 3/4 კოდი ქერი, კარაქი 1 ფუთი, ნახევარი ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი;

19) ბერუკა გერიტა შვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 3 მამაკაცი, 3 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 180 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

20) პეტრე ჯანგურა შვილი (ზანგურაშვილი - დ.ა), 1 მამაკაცი, 2 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 1/8 კოდი ხორბალი და 1/8 კოდი ქერი, კარაქი 1/8 ფუთი, 1/8 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 20 1/2 კაპიკი;

21) გოგილა ბაშარული შვილი, 2 მამაკაცი... 1 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 48 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 20 1/2 კაპიკი;

22) ნინია გრიტაშვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 4 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 1/4 კოდი ხორბალი და 1/4 კოდი ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, 1/4 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 40 1/2 კაპიკი;

23) ზურაბ გარიტაშვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 5 მამაკაცი, 4 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 180 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი;

24) ბერი გრიტაშვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 2 მამაკაცი, 1 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 36 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი;

25) გიორგი გრიტაშვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 3 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი;

26) შიო ბაშარული შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 24 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 1/4 კოდი ხორბალი და 1/4 კოდი ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, 1/4 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 40 1/2 კაპიკი;

27) ბერი ბაშარულა შვილი (ბაშარული - დ.ა), 2 მამაკაცი, 2 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი;

28) ქიტესა ბაშარულაშვილი (ბაშარული - დ.ა), 2 მამაკაცი, 3 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი;

29) პატარკაცი ბაშარულაშვილი (ბაშარული - დ.ა), 4 მამაკაცი, 3 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

30) მამუკა ბაშარაულიშვილი (ბაშარული - დ.ა), 1 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი;

31) გრიგორა ბაშარულაშვილი (ბაშარული - დ.ა), 3 მამაკაცი, 1 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი;

32) თადილა გრიტაშვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 3 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 84 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი;

33) ქიტესა ხუჯანა შვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, მიწა არა აქვს და გადასახადიც არ გადაუხდია, გამომუშავებაზეა.

სულ თავად ერისთავის მიწაზე ცხოვრობს 33 ოჯახი, 105 მამაკაცი, 109 ქალი, მათ მფლობელობაშია 173 დღის სახნავი მიწა, 30 ყურძნის ბაღი, მოჰყავთ 4944 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვთ 36 მანეთი და 5 1/2 კაპიკი.

ნიკოლოზ ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრებნი:

34) გიორგი ბაშარული შვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 4 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო. გადასახადს მემამულეს უხდიან;

35) მამუკა ბაშარულიშვილი, 2 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო;

36) გიორგი ბაშარულიშვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 48 თუნგი ღვინო;

37) გოგილო ბაშარული შვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 48 თუნგი ღვინო;

38) იასე გრიტა შვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 4 მამაკაცი, 6 ქალი, 4 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 260 თუნგი ღვინო.

39) ბერო დოლე შვილი (დვალიშვილი - დ.ა), 7 მამაკაცი, 3 ქალი, 20 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო;

40) ხ(ვ)თისავარ გიგაური შვილი, 5 მამაკაცი, 2 ქალი, 7 დღის მიწა;

41) ივან გიგაური შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 9 დღის მიწა.

42) დათუნა ჯამაგიძე, 2 მამაკაცი, 3 ქალი, 10 დღის მიწა.

იოსებ ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრები:

43) ისეია ბაშარულაშვილი (ბაშარული - დ.ა), 4 მამაკაცი, 1 ქალი, 2 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 72 თუნგი ღვინო, იხდის მემამულის დაკისრებულ გადასახადს.

ბეჟან ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრებნი:

44) ქიტესა ნიაური შვილი, 5 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო;

45) პეტრე ნიაური შვილი, 3 მამაკაცი, 4 ქალი, 7 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

46) დათუნა ნიაური შვილი, 6 მამაკაცი, 4 ქალი, 10 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 150 თუნგი ღვინო;

ამირან ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრებნი:

47) ელიზბარ ნიაური შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 4 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო;

48) გლახა ნიაური შვილი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, 10 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო'

49) ბერი ნიაური შვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო;

გიორგი ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრები:

50) გიორგი ნიაური შვილი, 7 მამაკაცი, 3 ქალი, 15 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 30 თუნგი ღვინო.

ნიკოლა ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრები:

51) გიორგი ზანგურაშვილი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის მიწა.

ფიცხელაურების მიწაზე ცხოვრობს 18 ოჯახი, 74 მამაკაცი, 50 ქალი, მათ მფლობელობაშია 121 დღის სახნავი მიწა, 14 ყურძნის ბაღი, მოჰყავთ 1488 თუნგი ღვინო. გადასახადს მემამულეებს უხდიან...

სულ სოფელ იკოთში ცხოვრობს 51 ოჯახი, 179 მამაკაცი, 159 ქალი, მათ მფლობელობაშია 459 დღის სახნავი მიწა, 2 წისქვილი, 62 ყურძნის ბაღი, მოჰყავთ 9342 თუნგი ღვინო. სახაზინო გადახდილი აქვთ 36 მანეთი და 5 1/2 კაპიკი.

სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა გიგაურები არიან - 16 კომლი, მათი დიდი ნაწილი ერისთავის მიწაზე ცხოვრობს – 14 ოჯახი, 2 ოჯახი ნიკოლოზ ფიცხელაურის მიწაზეა დამკვიდრებული, 4 კომლი – ზანგურაშვილები არიან, 7 კომლი – გვრიტიშვილები, 12 – ბაშარული, 7 ოჯახი – ნიაური, ისინი ბეჟან, ამირან და გიორგი ფიცხელაურების ყმები არიან, თითო კომლი ხუციშვილი, დვალიშვილი, ხუჯანაშვილი, ჯამაგიძე და მემარნიშვილია... როგორც ჩანს, მემარნიშვილები გიგაურებისაგან განაყარი შტოა, 1783 წლის აღწერაში ვხვდებით კომლს გიგაურს და ოჯახის წევრს – მემარნე ბერს...

XVIII საუკუნის სტატისტიკური აღწერილობებით იკოთში დაახლოებით 50-მდე კომლი ცხოვრობდა, თითქმის იმდენივე, რაც მომდევნო საუკუნის დასაწყისში, ძირითადი მოსახლეობა მაშინაც გიგაურები, ბაშარულები, ნიაურები, გვრიტიშვილები და ზანგურაშვილები იყვნენ. ვხვდებით ხიზნებსაც, მაგალითად, 1774 წელს იკოთში უცხოვრიათ კორინთელის ყმას ირტოზელ ხიზან ძაღლუა მაჩხიძეს, კათალიკოსის ყმას „გრდანელ" ხიზანას; არაგვის ერისთავის ყმას წვერეველ ყალაის შვილს ბეჟანას და ასე შემდეგ... 9 კომლია ხიზანი და ერთი კომლი ბოგანო – ხუციან ქიტესას შვილი კომლი ა, თავი ბ, პეტრე და მახარა.

1783 წლის აღწრით იკოთში 4 კომლი ბოგანოა და ერთი კომლი ხიზანი – ხადელი არაგველი კაიშაური ბეჟანას შვილი ბერი... შესამჩნევია ერთი ფაქტიც, მახარე ხუციშვილი 80-იანი წლების აღწერაში ბოგანოთა რიცხვში აღარაა, 1804 წლის აღნერით კი უკვე 4 დღის სახნავი მიწა აქვს და გადასახადსაც იხდის... სტატუსი შეიცვალა მაჩხიძემაც, იგი ჯერ ხიზანი იყო, შემდეგ ბოგანო.

როგორც ვიცით, ხიზანი მიწის არმქონე გლეხი იყო, რომელიც მებატონისგან იჯარით იღებდა მიწას და ამით ირჩენდა თავს, ბოგანოს შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, იგი მცირე მიწას ფლობდა, უვენახოს... იყო შემთხვევები, როცა მკვიდრი გლეხი ხდებოდა ბოგანო და, პირიქით, ბოგანო „იმაღლებდა" სტატუსს, რაც მემამულის წყალობა-განწყობაზე იყო დამოკიდებული...

იკოთი. ფიცხელაურების ციხე-კოშკი

1774 წლის აღწერაში ასევე გამოკვეთითაა მინიშნება გლეხების კიდევ ერთ კატეგორიაზე – მსახურზე: იკოთში ქსნის ერისთავის ყმები არიან: ბაშარული კიკოს შვილი ნინია მსახური და გვრიტიანთ გიორგის შვილი ბერი მსახური. მსახურთა ინსტიტუტი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველოში, იგი ჩვეულებრივ გლეხზე უფრო დაფასებული ჩანს. მაგალითად, ბექას სამართლის მიხედვით მსახურის სისხლი შეფასებულია 1000 თეთრად, გლეხის სისხლი – 400 თეთრად, ხოლო აზნაურის – 12000 თეთრად. მსახურის ძირითადი მოვალეობა გახლდათ ლაშქრობისა და ნადირობის დროს მებატონის გვერდით ყოფნა და ძღვენის მირთმევა: „არა კოდის პური, არა ღალა, არა კულუხი, არა ჩვენი ხვნა, არა მკა, არა ლეწვა, არა ზვარში მუშაობა, არა ქვევრის რეცხვა... არაფერი ღუთის განაჩენი ხორციელის კაცის სარჩო და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის მეტი და მსახურობა და ძღვენი. სხვა შენს კარზე არა მოდგეს რა მზისა და წვიმის მეტი. ჩემი ტომარა რომ კარზე ჩამოგივარდეს, არც იმას საბელი არ ათხუო" – ვკითხულობთ რევაზ ერისთავის მიერ თამაზა ბუჩაშვილისადმი გაცემულ XVII საუკუნის სითარხნის წყალობის წიგნში.

როგორც აღწერიდან ჩანს, იკოთის მიწები მოსავლიანია და სახნავად მთლიანად გამოსაყენებელი, მემინდვრეობისა და მევენახეობის ხვედრითი წილი მაღალია... ყურძნის 62 ბაღი აქვთ და მოჰყავთ 9342 თუნგი ღვინო. მკვეთრად შემცირებულია ღვინის ბაღების რაოდენობა 1816 წელს შედგენილი ბატონიშვილების ყოფილი ქონების აღწერაში, იმ დროისთვის იკოთში მითითებულია 30 ღვინის ბაღი და წლიური მოსავალი - 5000 თუნგი ღვინო... რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ 1804 წელს იკოთის მცხოვრებთა სიაში ახლოს მდებარე უბნებისა და სოფლების მოსახლეობაც გააერთიანეს. ზოგადად, იკოთში მევენახეობა იმდენად ყოფილა განვითარებული, რომ მას პატარა კახეთად მოიხსენიებდნენ.

თავისი საკუთარი „ხატის ვენახი" ჰქონდა სოფლის დასავლეთით, შაოსანთა მთაზე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას, სადაც ღვინოს წურავდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მევენახეობასთან ერთად სოფელში მაღალ დონეზე იყო განვითარებული მემინდვრეობა, მოჰყავდათ პური, ხორბალი, ქერი... მისდევდნენ ასევე მესაქონლეობას. გადასახადს მესაქონლეობის ნაწარმითაც იხდიდნენ, მაგალითად – კარაქით... გადასახადში ასევე შედიოდა ქათამი და კვერცხი. ნატურით გადასახადს ნაღდი ფულიც ემატებოდა.

ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ იკოთში მცხოვრები გვრიტიშვილების შესახებ. რ. თოფჩიშვილის მიხედვით, მათი წინაპრები ხანდოდან იყვნენ, ხანდოში კი თუშეთიდან გადმოსახლებულან. ინფორმატორის ცნობით, რომელიც სოფელ ზემო ბულაჩაურში მცხოვრები გვრიტიშვილია: „ქსანზე რომ არიან, სოფელ იკოთში, ესენიც ხანდოდან არიან წასულები ადგილის სივიწროვის გამო. ადგილი აღარ იყო, ცხოვრება ჭირდა. ესენიც ხანდოში მოდიან ხოლმე სალოცავად; არიან კიდევ გვრიტიშვილები მანგლისში, ზემო ქედში. ღარისწყალიდან ნელ-ნელა ჩამოსახლდა ხალხი ბულაჩაურში 1962 წელს. ღარისწყალაში იყვნენ: გვრიტიშვილი, ქავთარაძე, წიკლაური, ბიბილაშვილი. ეგრე გამიგია ჩვენი წინაპრებისაგან, რომ თუშეთიდან ვყოფილვართ გამოქცეულიო. ლამაზი კაცი ყოფილა, გვრიტი, გვრიტიო და დაერქვა გვრიტიშვილი. რაც შეეხება აღწერაში ნახსენებ დოლეშვილს, რომელიც ადრინდელი დვალიშვილია; გვარმა განიცადა ცვლილება და მოგვიანებით მივიღეთ დოლიშვილი, რასაც ადასტურებს საფლავის ქვების ეპიტაფიები და საწინამძღვრე ჯვარზე წარწერა, რომელშიც ნათქვამია, რომ დვალიშვილმა ეს ჯვარი დოლიშვილებისა და ზოგადად, იკოთელების საერთო სალოცავს ახშადის წმინდა გიორგის შესწირა. დვალიშვილების თავდაპირველი სამკვიდრო ისროლისხევი ყოფილა. იკოთის მკვიდრი ფიცხელაურების მონათხრობით, ქსნის ხეობაში და, კერძოდ, იკოთში დამკვიდრებისას, მათ მოიყოლეს თავიანთი ყმები: გიგაურები და წიკლაურები, წიკლაურებმა კი შემდეგ ბაშარულობა მოინდომესო. თვითონ „ქსნისხეობელი ფიცხელაურები" იკოთის გარდა ცხოვრობდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც, მაგალითად: ქვემო ბოლში, წირქოლში... 2016 წლის მონაცემებით ახალგორის მუნიციპალიტეტში სულ 24 ფიცხელაურია დაფიქსირებული, ზოგადად საქართველოში კი 1859 ადამიანია, ძირითადად, თბილისში – 774, ყაზბეგში – 245, თელავში – 214, დუშეთში – 115, გორში – 100, ახმეტაში – 94, მცხეთაში – 40 და ასე შემდეგ... ფიცხელაურების გარდა ცნობილია გვარები ფირცხალაური სულ – 6 და ფირცხელაური – 15.

სოფელ იკოთიდან დანახული ღორწმის კლდე

ცნობილ ეთნოგრაფს გიორგი ჩიტაიას ქსნის ხეობაში მოგზაურობის დროს შეუმჩნევია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უბნებს ცალკე სოფლებად ასახელებდნენ. იკოთში იმ დროისთვის ხუთი უბანი ყოფილა: ზემო იკოთი, ქვემო იკოთი, ზანგურაანი, ნიაურები, გიგარაანი... თუმცა ამ უბნების მკვიდრნი საბუთებში ერთი სოფლის მოსახლეობად იყვნენ რეგისტრირებულნი.

მომდევნო წლებში იკოთის მოსახლეობა მკვეთრად იზრდებოდა, 2002 წლის აღწერით ამ სოფლის მცხოვრებთა რიცხვი 1089 ადამიანს შეადგენდა, 542 მამაკაცი, 547 ქალი, მოსახლეობის 97 % ქართველი იყო. აქ ცხოვრობდნენ: გიგაურები, ზანგურაშვილები, ბაშარულები, ნიაურები, გიგნიაშვილები, მამამთავრიშვილები, ფსუტურები, ფიცხელაურები, ოსიშვილები, გვრიტიშვილები, თორელაშვილები, გუთნიაშვილები, ჯანგირაშვილები, მელთაურები, მემარნიშვილები, მახარაშვილები, ბუნტურები, წახილოვები, დოლიშვილები, იმნაძეები, გელაშვილები, ქაწაშვილები, ჩიტაშვილები, მაწიაშვილები, ქუტაშვილები, გოგებაშვილები, ჩოხელები, ილურიძეები, ჩოჩელები, ჯანაშვილები, ნათაძეები, მანჯიკაშვილები, გურნიშვილები, ქუძიევები, ბარისოვები და სხვები.

2008 წლის აგვისტოს ომმა და ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპაციამ მძიმე დააღი დაასვა ქსნის ხეობის სოფლებს, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა, უფრო მეტიც, ზოგიერთი სოფელი, განსაკუთრებით მაღალმთიან ზოლში, მოსახლეობისგან მთლიანად დაიცალა, მოიშალა ტრადიციული მეურნეობის დარგები, დავიწყებას მიეცა ხეობისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფის ელემენტები. იკოთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს დევნილთა სხვადასხვა დასახლებებში ცხოვრობს.

დავით ახლოური,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ერეკლეს ცოლს და ულრეკლ შორის

დასაწყისი გვ. 1 ▶

მონაწილეთაგან ზოგი მხარს უჭერდა, ზოგიც ეწინააღმდეგებოდა. ეკატერინა II-მ დასვა კითხვა: არსებობს კი იმის გარანტია, რომ საქართველოში მყოფ ორ ბატალიონს ოსმალები არ ამოახრჩობენ? როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, იმპერატორმა განაცხადა: თუ ორი ბატალიონის უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს, მაშინ დამატებითი ჯარი რატომღა უნდა გავიმეტოთო. ცხადია, ერეკლე II-მ არც ამ გადაწყვეტილების შესახებ უწყოდა რაიმე, ამიტომაც დაბეჯითებით, თუმცა ამაოდ, ითხოვდა რუსეთის ჯარის ახალი ნაწილების გამოგზავნას.

დღეს ხშირად სვამენ კითხვას: რა მოხდებოდა, რუსეთის იმპერიას გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულება რომ შეესრულებინა? ჩვენი ღრმა რწმენით, არაფერი შეიცვლებოდა. ქართლ-კახეთის სამეფო ისევ ისე დაასრულებდა არსებობას, როგორც დაასრულა 1801-1802 წლებში, სამეფო ყველა შემთხვევაში გაუქმდებოდა, ან ცოტა ადრე, ან ცოტა მოგვიანებით. რუსეთის საიმპერატორო კარი, ეკატერინა II გეორგიევსკის ტრაქტატს არ განიხილავდა, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს გადარჩენის მიზნით დადებულ ხელშეკრულებას. ტრაქტატი საქართველოში მშვიდობიანად, ომის გარეშე შემოღნევის საშუალებას წარმოადგენდა. ეს იმ პირობებში, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო ირანის, იმერეთის სამეფო კი ოსმალეთის ვასალი იყო, ხოლო ჩრდილო კავკასია რუსეთს ჯერ არ დაეპყრო და მოკლე დროში ვერც დაიპყრობდა. ასეთ ვითარებაში რუსეთს საქართველოში ერთბაშად, ომის გზით შემოღნევა სახიფათოდ მიაჩნდა. რუსეთის საიმპერატორო კარი საქართველოს დაპყრობას სამ ეტაპად გეგმავდა:

1. ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადება (ომის გარეშე შემოღნევა; სამეფოს საშინაო ვითარებაში, ეკონომიკურ მდგომარეობასა და სამხედრო სიძლიერეში გარკვევა);

2. ქვეშევრდომობითი ხელშეკრულება (პოზიციების განმტკიცება, ერეკლე II-ის ოპოზიციის წახალისება, რუსული ორიენტაციის ძალების ორგანიზება – რუსეთის მეხუთე კოლონის შექმნა);

3. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ქვეყანაში რუსული მმართველობის, საოკუპაციო რეჟიმის დამყარება.

პირველი ეტაპი ერეკლე II-ის მეფობის ბოლო პერიოდში (1783-1798 წწ.) დასრულდა; მეორე ეტაპი გიორგი XII-ის დროს (1798-1800 წწ.) უნდა დასრულებულიყო, ფაქტობრივად დასრულდა კიდეც, ოღონდ მეფის გარდაცვალების გამო რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ქვეშევდრომობითი ხელშეკრულება იურიდიულად ვერ გაფორმდა. მესამე ეტაპი 1801-1802 წლებში განხორციელდა, როდესაც რუსებმა მათ მიერვე ტახტის მემკვიდრედ აღიარებულ დავით გიორგის ძეს ტახტზე ასვლის უფლება არ მისცეს და ქვეყანაში რუსული მმართველობა შემოიღეს.

აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას: რეალურად მიიჩნევდა თუ არა ერეკლე II რუსეთის იმპერიის მხრიდან გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებას? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, აუცილებელია აღინიშნოს: გეორგიევსკის ტრაქტატი არ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, ისეთ ხელშეკრულებას, რომელსაც შეიძლებოდა ქართლ-კახეთის სამეფო გადაერჩინა. დიდი მნიშვნელობა გეორგიევსკის ტრაქტატს რუსულმა იმპერიულმა ისტორიოგრაფიამ პოლიტიკური მოსაზრებით მიანიჭა. რუს ისტორიკოსებს სურდათ რუსეთის იმპერიისათვის „დამპყრობლის“ სტატუსი მოეხსნათ და „მფარველის“ სტატუსი მიენიჭებინათ. პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიასაც, რუსულსაც და ქართულსაც. არ შეიძლებოდა „უფროსი ძმა“ დამპყრობელი ყოფილიყო, იგი ქართლ-კახეთს მფარველად, მეგობრად, მზრუნველად უნდა მოვლენოდა. რუსეთის იმპერიული და საბჭოთა ისტორიოგრაფია გეორგიევსკის ტრაქტატის გაიდეალებით 1801 წლის 12 სექტემბრის აქტის შერბილებას, რუსეთის საიმპერატორო კარისათვის პირის მობანას ცდილობდა. ეს მზაკვრული ჩანაფიქრი კარგა ხანს ძლიერ საადგილმამულო საშუალებას წარმოადგენდა, თუმცა ჭეშმარიტების საბოლოოდ დამალვა შეუძლებელია. რაც შეეხება ზემოთ დასმულ კითხვას, მასზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან დოკუმენტებიდან არ ჩანს, რას ფიქრობდა მეფე ერეკლე. ერთი რამ ცხადია, ერეკლე დაიმედებული იქნებოდა იმით, რომ მფარველობითი ხელშეკრულება რუსეთის ინიციატივით დაიდო. 1782-1783 წლებში რუსეთი ერეკლე II-ს მფარველობითი ხელშეკრულების დადებას აჩქარებდა. სხვა ინფორმაცია ქართლ-კახეთის მეფეს არ ჰქონდა, რადგან გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარის ახალი კავკასიური პოლიტიკა დიდ საფრთხეს ქმნიდა ამ საუკუნეში ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობებისადმი. ამ საიდუმლოების გაგების გარეშე კი ერეკლე II ვერანაირად ვერ შეიტყობდა, თუ რატომ არ ასრულებდა რუსეთის იმპერია ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებებს. არა ერეკლე II-ის დაცვის, მისი გამართლების მიზნით, არამედ ჭეშმარიტების დადგენისათვის აუცილებლად მივიჩნიეთ იმ საკითხზე მსჯელობა, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ხოლმე. ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების მომზადება, დადება და შემდეგ მის შესრულებაზე კონტროლი გამოცდილი დიპლომატების და რაღაც დონეზე მაინც საგარეო დაზვერვის არსებობას მოითხოვს. როგორც აღვნიშნეთ, არც ერთი, არც მეორე, ერეკლე მეფეს არასდროს ჰყოლია. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ერეკლე II თბილისში ინახულა რუსმა რეზიდენტმა, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა: *მეფის ჯანმრთელობა შერყეული მეჩვენა, მხრებში მოხრილიყო, მაგრამ თვალებიდან დიდი ძალა გამოკრთოდა. დაიწყო თუ არა საუბარი, მაშინვე დავრწმუნდი, რომ მეფე აღმოსავლური დიპლომატიის ხელოვნებას ბრწყინვალედ ფლობდაო. მეფე კი იყო გამოცდილი დიპლომატი, მაგრამ გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებასა და დადებაში არც ერთი პროფესიონალი დიპლომატი არ მონაწილეობდა. ტრაქტატზე ხელის მომწერებს, გარსევან ჭავჭავაძესა და იოანე მუხრანბატონს, დიპლომატიურ ასპარეზზე მოღვაწეობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ, უფრო მეტიც, ისინი მოლაპარაკების მაგიდას ისე მიუსხდნენ, რომ რუსულ ენას ვერ ფლობდნენ. აქედან გამომდინარე, მათ არ იცოდნენ, რა ეწერა ტრაქტატის რუსულ ეგზემპლარში. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლად (მინისტრად) რუსულის არმცოდნე გარსევან ჭავჭავაძე დაინიშნა. თბილისიდან გაგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტებს პეტერბურგში მას რუსულად უთარგმნიდნენ და ისიც ქართული ასონიშნებით ხელს აწერდა: „პოლნომოჩნი მინისტრი გარსევან ჭავჭავაძე“. „პოლნომოჩნი მინისტრი“ თბილისში ისე დაბრუნდა, ვერც რუსული ისწავლა და ვერც რაიმე არსებითი შეიტყო, თუ რატომ არ ასრულებდა რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს. ან რისთვის უნდა მიეღწია გარსევან ჭავჭავაძეს, როცა მას ურთიერთობა ინგლისში, საფრანგეთში, პრუსიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე რუსეთის დიპლომატებთან ჰქონდა.* გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად, რუსეთის საიმპერატორო კართან ურთიერთობა ჰქონდათ სრულიად ახალგაზრდა ბატონიშვილ მირიანს და არქიმანდრიტ გაიოზს. მართალია, ორივენი დროსა და ენერგიას არ იშურებდნენ მეფე ერეკლეს დავალებების შესასრულებლად, მაგრამ რუს დიპლომატებთან ურთიერთობაში ისინიც ბევრს ვერაფერს აღწევდნენ. ასე გაგრძელდა ერეკლეს სიცოცხლის ბოლომდე. როდესაც იგრძნო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს აღსასრული მოახლოებული იყო, გარსევან ჭავჭავაძე საგანგებო წერილში იმპერატორ **პაველ I-ს** (1796-1801) სთხოვდა ავადმყოფი მეფისათვის საუბუგეშებელი წერილი გაეგზავნა. ეს უკვე ქართველი დიპლომატის მიერ კაპიტულაციის გამოცხადებას ჰგავდა. ცხადია, იმპერატორს ერეკლე II-თვის სანუგეშო წერილი არ გამოუგზავნია.



ეკატერინა II-ის მმართველობის ბოლო წლებში გეორგიევსკის ტრაქტატი სრულ ფიქციად იქცა. თუმცა ერთი იმედისმომცემი გარემოებაც იყო: 1796 წელს რუსეთის ჯარი ირანის დაპყრობის მიზნით კასპიისპირეთში შეიჭრა და სერიოზული წარმატებებიც მოიპოვა. ჯარის ერთი ნაწილი ქართლ-კახეთის სამეფოში შემოვიდა და განჯისა და ერევნის სახანოებზე შეტევისათვის დაიწყო მზადება. სამწუხაროდ, ეკატერინა II-ის გარდაცვალების შემდეგ ახალმა იმპერატორმა, პაველ I-მა დედის ჩანაფიქრზე ხელი აიღო და ლაშქრობა შეწყვიტა. ინგლისის დასამარების მოსურნე იმპერატორი ფრთხილობდა: „ოსმალეთმა არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ ომის საბაბს ვეძებთ.“

ყოველივე ზემოთქმულს თუ შეავჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ: *ირან-ოსმალეთ-რუსეთის დიპირისპირება სამხრეთ კავკასიაში იმგვარად განვითარდა, რომ ერეკლე II იძულებული გახდა 35-წლიანი პროირანული ორიენტაცია პრორუსულით შეეცვალა.* რუსეთის საიმპერატორო კარი არც ამის შემდეგ ენდობოდა ერეკლე II-ს და მასთან პოლიტიკურ თამაშს აგრძელებდა: ხან ირანითა და ოსმალეთით აშინებდა, ხან – ქართლის თავადებითა და რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებით. ერეკლე ჭკვიანი დიპლომატი იყო და იმთავითვე მიხვდა, რომ მართალია 1770 წელს გენერალ ტოტლებენის ავანტიურა ჩაიშალა და რუსეთმა მისთვის არასასურველი მეფის თავიდან მოშორება ვერ შეძლო, მაგრამ სავსებით ცხადი იყო, რომ რუსეთი მსგავს ქმედებებს კვლავაც გააგრძელებდა. რუსეთის საიმპერატორო კარი კარგად იყენებდა იმას, რომ 1769 წელს ერეკლე II ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება, რითაც მუსლიმურ სამყაროსთან ურთიერთობა სერიოზულად დაეძაბა. რუსეთის მომავალი ფარული თუ აშკარა აგრესიის პირობებში ერეკლე II-მ გადაწყვიტა კავკასიის მომავალ მპყრობელს მორიგებოდა და რუსეთის მფარველობა მიეღო. ამის შემდეგ ყველაფერი რუსეთის საიმპერატორო კარზე დაწერილი სცენარით განვითარდა. ერეკლე II-ს, ცხადია, არ შეეძლო შეეცვალა რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის არსი.

ერეკლე II „რუსეთის კაცი“ არ ყოფილა და არც რუსეთი მოუყვანია საქართველოში. სიმართლე უნდა ითქვას: **რუსეთი მოდიოდა და საქართველოს დასაპყრობად მას არც გეორგიევსკის ტრაქტატი და არც ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაცია სჭირდებოდა.** რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში მთავარი არა გეორგიევსკის ტრაქტატი და ერეკლე II-ის ორიენტაცია, არამედ ირანის დამარცხება, ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა, ოსმალეთის დამარცხება და იმერეთის სამეფოს დაპყრობა იყო. გეგმა, ერთი შეხედვით, რთული, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, განხორციელებადი იყო. 1804 წელს აშკარა ანტირუსული ორიენტაციის იმერეთის მეფე სოლომონ II სამხედრო ძალის გამოყენების მუქარით აიძულეს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა მიეღო. იმერეთის სამეფოს გაუქმება 1804 წლიდან 1809-1810 წლებამდე მხოლოდ იმიტომ გადაიდო, რომ 1806 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. სანამ რუსეთმა ამიერკავკასიაში წარმატებები არ მოიპოვა, იმერეთის სამეფოს გაუქმებისაგან თავი შეიკავა. ომში ოსმალეთის მარცხი იმერეთის სამეფოს გაუქმებასაც ნიშნავდა! *დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ ერევნის, განჯის, ნახჭევნის, ყარაბაღის, შაქის, შირვანის, ბაქოსა და სხვა სახანოებს რუსეთის იმპერიასთან გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულებები არ დაუდიათ, მაგრამ 1803-1804 წლიდან დაწყებული რუსეთმა ეს სახანოები ზედიზედ დაიპყრო.* დაიპყრო იმიტომ, რომ 1804-1813 წლებისა და 1826-1828 წლების ომებში ირანი დაამარცხა და აიძულა, სამხრეთ კავკასიის სამფლობელოები მისთვის დაეთმო. 1806-1812 წლების, 1828-1829 წლებისა და 1877-1878 წლების ომებში რუსეთმა ოსმალეთი დაამარცხა და აიძულა აფხაზეთი, სამცხე-ჯავახეთი და აჭარა დაეთმო. რუსეთი სამხრეთ კავკასიაში გამარჯვებულის უფლებით მოვიდა. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი გავეხსენებინა: ევროპის სახელმწიფოთა კოალიციამ (რუსეთი, ინგლისი, პრუსია) ნაპოლეონი დაამარცხა. 1815 წელს ვენაში კონგრესზე შეკრებილი ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები კონტინენტის მომავალზე მსჯელობდნენ, სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულების პრინციპებს არკვევდნენ. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებმა გადაწყვიტეს, როგორმე ევროპა რუსეთის ჯარისაგან გაეთავისუფლებინათ და ამ საკითხის კონგრესის სხდომაზე დაყენება კლემენს ფონ მეტერნიხს მიანდეს. გაიხსნა თუ არა სხდომა, მეტერნიხმა განაცხადა: ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რა უფლებით დგას რუსეთის 120.000-იანი ჯარი ვარშავის საჰერცოგოში? სამარისებური სიჩუმე ალექსანდრ I-მა დაარღვია: „გამარჯვებულის უფლებით!“ ამჯერად სიჩუმეში მეტერნიხის ხმა გაისმა: „გადავიდეთ დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე.“

სამხრეთ კავკასიაში „გამარჯვებულის უფლებით“ მოსული რუსეთის იმპერია ყველა სამეფოს, სამთავროსა და სახანოს უბოდიშოდ დაეპატრონებოდა, როგორც დაეპატრონა ყენჩ-პოსპოლიტას დამარცხების შემდეგ უკრაინას, შვედეთის დამარცხების შემდეგ – ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და ფინეთს, ოსმალეთის დამარცხების შემდეგ – მოლდოვას.

სამი დამპყრობლის, ირანის, ოსმალეთის, რუსეთის, დაპირისპირებაში მეფე ერეკლე ყოველნაირად ცდილობდა ისეთი საგარეო პოლიტიკა აერჩია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრიობა გადაერჩინა. დიდ პოლიტიკას დიდი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, ხოლო რიცხვით მცირე ერის, პატარა სახელმწიფოს მეფეს დიდი პოლიტიკის მიმართულების შეცვლა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე, ყველაფერს არა ერეკლე II-ის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, არამედ ის წყვეტდა, თუ რით დასრულდებოდა ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში. საქართველო ამ დაპირისპირებაში გამარჯვებულს უნდა დარჩენოდა. ერეკლე II-ს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა: წინდაწინ გაერკვია ამ გამარჯვებულის ვინაობა, შეესაფერი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია შეემუშავებინა და კავკასიის მომავალი მპყრობელისაგან ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნების გარანტია მიეღო. დიდმა პოლიტიკამ მეფე ერეკლეს სხვა არჩევანი არ დაუტოვა.

ვიცხოვ ლიტყვალ!

ღია წერილი ექიმ-დიეტოლოგებს

მართე შენი ბუნება,
თორემ ის დაგიწყებს მართვას.
კანტი (1724-1804)

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყურძნის თავანკარა ღვინოც ნარკოტიკების რიცხვს განეკუთვნება. დიეტოლოგიაში დიდი ხანია ესეც დადგენილია: ადამიანის ჯანმრთელობისთვის ღვინო სასარგებლო რომ იყოს, სასურველია ზრდასრულმა პიროვნებამ ერთ იჯრაზე მიირთვას თავის წონასთან შეფარდებით გაორმაგებული გრამი სასმელიო. ე.ი. კაცი რომ იწონიდეს, მაგალითად, 75-კგ-ს, ყოველ მხრივ მიზანშეწონილი ყოფილა დალიოს 150 გრ ღვინო!

სინამდვილეში კი რა ხდება?! ჩვენში, თუგინდ ხანმოკლე სერობისას, ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება 2-3 ლიტრი ღვინის დალევა! ვხვდები, ბევრს დამცინავად გაეღიმება, მაგრამ თუ მოთმინებას გამოიჩენენ, იქამდეც მივალ!..

ორი-სამი კი არა, ერთ ქეიფზე ბევრი ოთხ, ხუთ, ექვს ლიტრამდეც ადის!.. ამას დაუმატეთ სხვადასხვა კერძი და... მკითხველი რომ არ გავაღიზიანო ან არ დავღალო, სათქმელს მოკლედ მოვჭრი: ქეიფი თუ ქართველურ ეშხში შევიდა, ანდა სახელგავარდნილ მსმელებს შორის პირველობისთვის ,,ოლიმპიური" შეჯიბრი გაჩაღდა, ბევრისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს რვა... ათი... თორმეტი... თხუთმეტი ლიტრი ღვინოს შთანთქმა!..

ახლა კი პირდაპირ გონება მიბნელდება... ამიტომ ხეირიანად... აღარც კალამი მემორჩილება... მაგრამ რაკი დავიწყე, თავში ქვა უნდა ვიხალო და სათქმელი ბოლომდე მივიყვანო! რაც მართალია, მე, პირადად, არსად მინახავს – განგებას მადლობას ვწირავ, ამისთვის რომ არ მაყურებინა! – მაგრამ თუ თანამედროვე სარწმუნო ზეპირ სახოტბო თქმულებებს დავუჯერებთ, დღევანდელ საქართველოში, თურმე, ისეთი ,,მძიმე წონის" პროფესიონალი მსმელებიც მოიძებნებიან, რომელთაც ერთ ნადიმზე 20 (ოცი) ლიტრი ღვინის დალევა ძალუძთ!!!

წეღან დამავიწყდა და ახლა ვიტყვი: ამხელად ყურადღების გამახვილება მსურს არა სმის კულტურასა და ეთიკაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ანატომიურ მხარეზე!

მაშ, შიშველ სადეგუსტაციო მაგიდაზე ნათლად წარმოვიდგინოთ ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგომი, სუფთა ღვინით სავსე ათი, თხუთმეტი და ოცლიტრიანი მინის ბოცები!

ახლა ქართული ენციკლოპედიის მე-6 ტომის 92-ე გვერდზე გავსინჯოთ სტატიის **,,კუჭი"** ეს მონაკვეთი.

,,მოზრდილი ადამიანის კუჭის სიგრძეა 15-18 სმ. სიგანე – 12-14 სმ. მისი კედლების სისქე – 3-4 მმ".

ცხადია, მეც ვხვდები, რომ ყველა ადამიანის კუჭი ვერ იქნება ერთი ზომის, მაგრამ... მაგრამ...

პატივცემულო ექიმ-დიეტოლოგებო, თქვენზე უკეთ ვინ შეატყობს და თქვენზე მეტად, ალბათ, ვინ იტანჯება უზომ-უსაზღვრო სმისგან დამახინჯებული ქართული გენოფონდის ყოველდღიური ცქერით!.. მაშ, თუ ღმერთი გწამთ, ჩვენს საზოგადოებას ერთი ჭკვაგარკვევით აუხსენით: ასეთი მოკრძალებული გაბარიტების ადამიანის კუჭში რანაირად ეტევა ამდენი სასმელი?!.. ხოლო ბევრი თუ მაინც ძალდაძალ ისხამს, მაშინ როგორია ამგვარი ბარბაროსული ძალდატანების პროცესები და შედეგები?!

პასუხისთვის საზოგადოების სახელით მადლობას წინასწარ გიხდით და ღრმად მწამს: თქვენი სტატიით დამშვენებული გაზეთის ,,ლიტერატურული მესხეთის" რამდენიმე ეგზემპლარს სხვადასხვა მიზნით ბევრი გულშემატკივარი საგანგებოდ შეინახავს!

კეთილი სურვილებით
ჯემალ მესხრიშვილი
ქ. თბილისი

ჰენრი ლინჩის მოგზაურობა საქართველოში

ჰენრი ფინის ბლოს ლინჩი (1862-1913წწ.), პარლამენტის წევრი და სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი, ცნობილი მოგზაური აღმოსავლეთის ქვეყნებში, თავის წიგნებში გვანვდის მრავალფეროვან და დეტალურ ინფორმაციას რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების სომხებით დასახლებული მხარეების გეოგრაფიის, გეოლოგიის, ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ.

ჰ. ლინჩი. ქართველები ტრადიციულ ტანისამოსში

წინამდებარე ტექსტი მოიცავს ნაწყვეტს სომხეთში მისი მოგზაურობების ანგარიშიდან. მათგან პირველი გაგრძელდა 1893 წლის აგვისტოდან 1894 წლის მარტამდე, ხოლო მეორე 1898 წლის მაისიდან სექტემბრამდე. 1901 წელს ქვეყნდება მისი მოგზაურობის ჩანაწერები ორ ნაწილად (სომხეთი: მოგზაურობები და გამოკვლევები). აღნიშნული ნაწყვეტი, რომელსაც პირველი წიგნის მესამე თავი უკავია, აღწერს მოგზაურობას, რომლის მთავარი მიზანი არარატის მონახულება იყო. შავი ზღვის სანაპიროების და პორტების, ტრაპიზონისა და ბათუმის, შემდეგ კი რიონის ხეობის, ქუთაისისა და ზეკარის უღელტეხილის გავლით ლინჩი სამცხე-ჯავახეთში ხვდება, საიდანაც დღევანდელი სომხეთის და თურქეთის ტერიტორიებზე აგრძელებს მოგზაურობას.

ახალციხისაკენ

ლონდონის გარდა სხვაგან სად ნახავ ეტლის ხეირიანად მართვას? ნუთუ ინგლისი ერთადერთი ქვეყანა არაა, სადაც შენს მეეტლეს შეიძლება მიანდო, ყველა მკვეთრ მოსახვევს ისე ჩაუქროლოს, რომ მართვის სადავეები არ დაჰკარგოს? ოთხი ცხენით ალბათ ადვილი არაა რიტმი შეინარჩუნო, განსაკუთრებით, როცა ციცაბო დაღმართზე ეშვები. თან რამდენიმე რუსი ოფიცერი ლანდოთი მოგვყვებოდა, რომლებიც უღელტეხილის მწვერვალზე ჩვენს ფოტოგრაფიულ და ჰიპსომეტრიულ ოპერაციებს აკვირდებოდნენ; ჩვენი მეეტლე გაჯიბრების სურვილმა შეიპყრო და, რამდენიმე წუთში ჩორთი ნელ ჭენებად, ნელი ჭენება კი სწრაფ ქროლვად გადაიქცა. მარცხნივ ღრმა უფსკრული იყო, მარჯვნივ მოხავსებული ნაპირი, ყველაზე სახიფათო პოსტი კი ჩვენს ჩია ტანის, ჩასუქებულ თარჯიმანს ეჭირა, რომელიც კოფოს მარცხნივ იჯდა. ეტლმა ნაპირს გაჰკრა გვერდი და, სანამ ჩვენ სომეხს ჩვენსკენ მოვიზიდავდით, ეტლი ნაპირს მიეხალა და ამოტრიალდა. ცხენები და დანარჩენი თანამგზავრები არ დაზიანებულან, თუმცა უიღბლო თარჯიმანი გზაზე კვნესოდა და ქვითინებდა. საბედნიეროდ მისი დაჟეჟილობა სერიოზული არ აღმოჩნდა და ყლუპმა ბრენდმა აზრზე მოიყვანა. ჩვენი თავაზიანი ნაცნობების დახმარებით, რომელნიც უნებლიედ ამ უბედურების მიზეზი შეიქნენ და რომელნიც მაშინათვე მოქანდნენ შემთხვევის ადგილზე, იგი ქვემოთ ფერდობზე გადავიყვანეთ, სადაც მხიარული მოპიკნიკეები ნამცხვრებს, ჩაისა და მაგარ ლიქიორს შეექცეოდნენ. ქალბატონები მაშინვე აფუსფუსდნენ დაჟეჟილი და მტვრით დაფარული ახალგაზრდის გარშემო, რომელსაც მათმა ზრუნვამ მაშინვე დაუბრუნა დაბუჟებული ადგილის შეგრძნება. თუმცა, ამ შემთხვევამ შეგვაყოვნა და, უკვე შემოღამებულზე მივაღწიეთ აბასთუმნის სანახებს, რომელიც უღელტეხილიდან სამხრეთით, რამდენიმე მილის მოშორებით, 4278 ფუტ სიმაღლეზე, ფიჭვნარში მდებარეობდა. სურვილი აღგვეძრა კარვები სოფლის თავზე გაგვეშალა, სასიამოვნო ნაკადულის პირას. მაგრამ სიბნელემ და გვიანმა ხანმა გადაგვაწყვეტინა, რომ ხალხმრავალ სასტუმროში გვეძია თავშესაფარი.

ჩვენ კვლავ სიმდიდრისა და ფუფუნების შუაგულში აღმოვჩნდით – ოაზისში, რომელიც თავისი საზეიმო ბუნებით მეტად შეუსაბამო იყო იმასთან, რითაც ეს უკიდეგანო და მოსაწყენი პეიზაჟი იყო აღბეჭდილი. მუსიკის ჰანგები ჰაერში იღვრებოდა; ცეკვა კვლავ გრძელდებოდა, რომელსაც ნაჩქარევად წვახშმების შემდეგ ჩემმა ბიძაშვილმა და მე მივაშურეთ. ყველაფერს, რაც კი ბრწყინვალებად ითვლებოდა კავკასიის ოფიციალურ სამყაროში, ფართო სამეჯლისო დარბაზში მოეყარა თავი; ბაღის გავლისას მუდმივი სტუმრების ჯგუფს გადავეყარეთ, რომელთაც ახალგაზრდა და მოხდენილი პიროვნების გარშემო მოეყარათ თავი. როგორც ჩანდა, ყველა კრძალვით ეპყრობოდა. იგი მეფიწული, რუსეთის დიდი თავადი გიორგი იყო, რომელიც ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ზამთარ-ზაფხულს ამ მაღალ ადგილას ცხოვრობდა. მომდევნო დღის შუადღისას, რომელიც მუშაობისა და სამზადისისთვის უნდა დაგვეთმო, მისი საიმპერატორო უდიდებულესობისაგან ცნობა მოგვივიდა, რომ სადილად გვეპატიჟებოდა; ამგვარად, გამგზავრება დილის ნაცვლად გვიანი ხანისათვის გადავდეთ. მისი ვილა ზედ დასასვენებელი სახლების ზემოთ, ნაძვებში მდებარეობდა, რომელიც ხეობას ტაფობიდან თხემამდე მოსავდა; გზის მოპირდაპირე მხარეს კი მთის ფერდობი პარკად ქცეულიყო, სადაც კავკასიის ველური სამყაროს დიდი ცხოველების ცოცხალი ეგზემპლარები ბინადრობდნენ. სადილი al fresco (ღია ცის ქვეშ - მთარგმ.) ვილის ბაღში იყო; დიდი თავადი ჩინებული ინგლისურით მოგვესალმა და ჩემი ბიძაშვილი მარცხნივ, მე კი მარჯვნივ მიგვისვა. ჩემს პირდაპირ, ხოლო ჩემი ბიძაშვილის მარცხნივ თავადი ოლდენბურგი იჯდა, პრაქტიკოსი სპორტსმენი და მომხიბლავი პიროვნება, რომლის მკვირცხლი იუმორი საუბარს ახალისებდა. მარცხნივ დარბაისელი, მეტისმეტად კარგად ინფორმირებული ჯენტლმენი მეჯდა, რომლის საუბარმაც შთაბეჭდლება მოახდინა ჩემზე, თუმცა კი დამავიწყდა მისი სახელის ჩაწერა. მისი უდიდებულესობის მხლებლებიდან ერთ-ერთი, მ. ასბელევიც წვეულების წევრი იყო და თავაზიანად უზრუნველგვყო ინფორმაციით, რომელმაც დიდებული სამსახური გაგვიწია ჩვენი მოგზაურობის დასასრულს. მრგვალი მაგიდის გარშემო საკმაოდ პატივსაცემ სტუმრებს მოეყარათ თავი, რომელთაგან უმრავლესობა თეთრ კიტელებში იყო გამოწყობილი, რომელიც ოფიციალური პირების საზაფხულო მუნდირია.

მოგვართვეს პიურე თუ ერთგვარი, მისი მსგავსი სქელი წვნიანი. მე მეგემა, თავადს კი ცელქი თვალები აუციმციმა. სადილზე a la Russe (რუსული წესით – მთარგ.) ყოველი მორთმეული კერძის გამოჩენას სტუმართა ღიმილი ან შეძახილი ახლდა – „განა ეს საზიზღრობა არაა?“ ან სხვა ნაკლებად რბილი გამკიცხავი შენიშვნები. შევეცადე შეეწინააღმდეგებოდი მათ უწყინარ კრიტიკას და აღვნიშნე, რომ თუკი მხოლოდ ფრანგები ფლობდნენ მზარეულობის ხელოვნებას, რუსები წარმატებით ართმევდნენ მას თავს, მაშინ, როცა ინგლისელები სრულ მარცხს განიცდიდნენ საჭმელის გემრიელად მომზადებაში.

შემოიტანეს შამპანური, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. იგი თავადის მიერ ყოფილა დაყენებული, ქუთაისის საკუთარი ვენახებიდან. ჩემმა ბიძაშვილმა საიდუმლო გათქვა, რომ უკვე დაგემოვნებული გვქონდა: რომ მის ღვინის მარანს ვესტუმრეთ და დიდად დავინტერესდით მისი წარმოებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საღამოხანს ზეკარზე მდებარე ქოხში მისი შუშპარა ბოთლის ღვინო მივირთვით. დაიჟინა, რომ ერთი პატარა ყუთი თან წაგვეყოლებინა. დაგვპირდა, რომ მშრალი ღვინო იქნებოდა, რომელიც აუცილებლად მოგვეწონებოდა, რადგან უკვე იცოდა ჩვენი გემოვნების ამბავი. ჩემგან მარცხნივ მჯდომი თანამოსაუბრე ჩვენი მოგზაურობის მიზანზე საუბრობდა და თვლიდა, რომ შევძლებდით არარატის ფერდობებამდე, პირველი თოვლის მოსვლამდე, მიღწევას. ვუთხარი, რომ ასევე მონადინებულნი ვიყავით ქვეყნის საცხოვრებელ პირობებს გავცნობოდით და საუბარიც იმ შეზღუდვებს შეეხო, რომლებიც ინდოეთში უცხოელებს დაუწესეს და, რომლებიც იმავე მიზნით მოგზაურობდნენ, როგორც ჩვენ. განა ასეთ შეზღუდვებზე სულელური კიდევ რამე შეიძლება იყოს? ორივე იმ აზრზე ვიყავით, რომ სრულიად შესაძლებელი იყო პოლიტიკური ინტრიგანებისაგანაც დაგეცვა თავი და, ამავდროულად, bona-fide (კეთილსინდისიერი - მთარგმნ.) მოგზაურებისთვის თავისუფლება მიგეცა. დიდი თავადი შესანიშნავი ინგლისურით საუბრობდა და ამაზე სასიამოვნო მასპინძელი ვერც გეყოლებოდა. აღვნიშნეთ, რომ სახის ნაკვთები თავის ბიძაშვილს, იორკის ჰერცოგს მიუგავდა, რომლის პორტრეტიც მის საწერ მაგიდაზე იდო ჩვენი სამეფო სახლის სხვა წევრების ფოტოებთან ერთად.

ახალციხისაკენ გასამგზავრებლად, რომელიც 16 ½ მილით იყო დაშორებული, ორი ოთხცხენიანი საფოსტო ეტლი მომზადდა. ოთხი საათისათვის ხელახლა შევუერთდით ჯგუფის წევრებს და უკან ჩამოვიტოვეთ აბასთუმნის სასიამოვნო სადგური. ვიწრო ხეობის გასწვრივ სწრაფ მდინარეს ქვემოთ დავუყევით. კლდიან და გადმოწოლილ ნაპირებზე თავიდან ბოლომდე ფიჭვები იყო ჩამწკრივებული, მათ შორის კი ერთი დანგრეული ციხე, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, თამარის სახელს მიაწერენ, მოღუშული გადმოჰყურებდა საგუშაგო გასასვლელს. თუმცა დიდი გზა არც კი გვქონდა გავლილი, რომ პეიზაჟი სრულიად შეიცვალა. ხეობა გაიშალა და შორეული ხედები გამოჩნდა. ჩვენს წინ სომხეთისათვის1 დამახასიათებელი პეიზაჟი გადაიშალა, რომელიც ზეკარის უღელტეხილიდან დავინახეთ. ბუნებას ნაკლებად ახასიათებს მკვეთრი, უეცარი ცვლილებები. სამხრეთ წყალგამყოფის პირველ ფერდობებზე ეს გარდამავალი ხასიათი შეიმჩნევა. ფიჭვნარით დაფარული ვიწრო ქედების სარტყელი არღვევს კონტრასტს საამურ ტყეებს, რომელიც შავი ზღვის სანაპირო ზოლის მხარეს ფარავს და, უნაყოფო ზეგნებს შორის, რომლის გაყოლებაზეც მტკვრის ზემო წყლები ეშვება. გამოვედით თუ არა ამ ადგილებიდან, ჩვენს გარშემო სომხეთის დაბლობები გადაიშალა. თვალი ფართო ტერიტორიებს წვდებოდა, რომლის დიდი ნაწილი ღარიბი იყო მცენარეულობით და ფხვიერ ზედაპირზე მთელი რიგი შემაღლებები ამოზიდულიყო, წინა პლანზე ბორცვებითა და გორაკებით დაწყებული მაღალი მასივების უსაზღვრო კონტურებით დამთავრებული, რომელიც ფერსა და ეროსახეს ცის ყოველი ცვალებადობისას იცვლიდა.


სხვილისი

მიწა მეტისმეტი სიმშრალისაგან გაფხვიერებულიყო; ჩანს, ნაყოფიერი მიწაა და ეჭვგარეშეა, რომ უხვი მოსავლის მიღება იქნებოდა შესაძლებელი, თუკი მას ფართო მასშტაბით დაამუშავებდნენ. თუმცა, ჩანდა, რომ მიწის მთელი დამუშავება ყვითელ ნამკალ პატარ-პატარა ნაკვეთებს, ანდაც მსუბუქად გადახნულ მიწებს წარმოადგენდა. აშკარა იყო, რომ აღმოსავლეთის პრიმიტიული მეთოდები არ შეცვლილიყო და, სოფლის მეურნეობა კვლავ არამდგრად ხასიათს ატარებდა, რაც საუკუნოვანი პოლიტიკური არასტაბილურობის შედეგია, რადგანაც გლეხმა არ იცოდა, მოიმკიდა თუ არა იმას, რაც დათესა. ქვიანი მონაკვეთები დასამუშავებლად გამოსადეგ მიწის ნაკვეთებში იჭრებოდა, მაგრამ, ზოგადად, ფართობები სახნავად ვარგისი იყო. სიცოცხლის წყაროები აღმოსავლეთის ზაფხულის გვალვას გამოეშრო; ნაყოფიერი ნიადაგი ერთიანად მოშიშვლებულიყო და ვარდისფერისა და ჟანგისფერის გამჭვირვალე ტონები მთელს პეიზაჟს ფარავდა. უკიდეგანობისა და მარტოობის სულით იყო გაჟღენთილი არემარე; ჰაერი ნათელი და სუფთა იყო და, სპარსეთის ზეგნების ჯანსაღ კლიმატს მოგაგონებდათ.

ასეთი თავისებურებები უცნაური იყო ჩვენი ჯგუფის ზოგიერთი წევრისათვის, მხოლოდ მე და ჩემი ბიძაშვილი ვიცნობდით აზიის შიდა მხარეს და პირველივე ტონზე ვიცანით ნაცნობი მელოდიის დასაწყისი. გზას მდუმარედ მივყვებოდით. ყველა თავის ფიქრებში ჩაძირულიყო. უღიმღამო პეიზაჟში პატარა მდინარე მოედინებოდა და გზას თეთრ ზოლად გასდევდა. აქა-იქ წყლის, ან ქვა-ღორღიანი კალაპოტის უსწორმასწორო კიდეებს მიღმა, პატარა ხილნარში თუ ბაღჩებში დარგული კარტოფილი, მწვანე ლაქების თავისებურ კონტრასტს ქმნიდა გარემოს ტონებთან (როგორც რადე ახსენებს „როგორც ჩანს, ყოველ შემთხვევაში ამ ოლქში, კარტოფილის კულტურა ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად დაწინაურებულა სომხეს შორის.“[2]

მაგრამ სად იყო სოფლები? აქ უთუოდ უნდა ყოფილიყო მოსახლეობა, ვინც ამ ღარიბულ მოსავალს აგროვებდა და შავმიწა ნიადაგს ამუშავებდა. საცხოვრებლად ისინი ან მთის ფერდობებს ირჩევენ ან მაღლობ ადგილებს; მათი სადგომების მხოლოდ კარის ან ფასადის დანახვაა შესაძლებელი, უკანა ნაწილი კი ტერასებად განლაგებულ მიწაშია შეჭრილი. ამგვარ დასახლებას ახლოდან და დღის სინათლეზე უნდა ჩაუარო, რათა იქ კაციშვილი მაინც შენიშნო. ჩვენ მსგავს ოთხ სოფელს ჩავუარეთ, სანამ სადგურს სანახევროდ მივუახლოვდებოდით. ეს სოფლები თათრებით იყო დასახლებული, რომლებიც სეზონურ მარცვლეულს ლეწავდნენ და ანიავებდნენ. ჩენჩოები ჰაერში დაფარფატებდნენ და ქალებისა და კაცების ხასხასა ბამბის ტანისამოსს ნიავი აფრიალებდა.

ბენარა, საფოსტო პუნქტი, რომელმაც ახალი ცხენებით მოგვამარაგა, ზედ მდინარის ნაპირთან მდებარეობს და არც ისე შორსაა იმ ადგილიდან, სადაც იგი ქობლიან ჩაის ერთვის, მდინარეს, რომელიც ზეგანის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთის კუთხის ჩამდინარე წყლებს უყრის თავს. ცოტა ოდნავ ქვემოთ, შერთულ წყლებს ფოცხოვჩაიდ წოდებული კიდევ ერთი მდინარე ერთვის, რომელიც ღელის წყლებს სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იკრეფს. წელინადის ამ დროსაც კი ეს სამი შენაკადი საკმაო სიდიდის მდინარეს ქმნის, რომელიც დატოტვილ კალაპოტში აღმოსავლეთით ვაკეზე მიედინება და პატარა ქალაქ ახალციხის გავლის შემდეგ მტკვარს ერთვის. ამ მდინარეს, ჩვეულებისამებრ, ახალციხ-ჩაის უწოდებენ.

ჩვენი გზა იმავე მიმართულებას მიუყვებოდა, როცა აღმოსავლეთით მკვეთრად შეუხვია, ისე რომ მდინარის მარცხენა ნაპირს არ მოშორებია. რამდენიმე გორაკმა ჩრდილოეთით მცირე ადგილას მხედველობის არე ჩაგვიკეტა; შემდეგ ისინი მოვაკდა და ჩვენს თვალწინ დიდი ველი გადაიშალა, რომელიც მხოლოდ თვალსანიერზე იყო ბორცვებით შემოსაზღვრული. პერიოდულად თვალს შევავლებდით ფიჭვნარით შემოსილ უკიდურეს ქედებს, რომლებიც აღმოსავლეთის ჰორიზონტზე წამოზიდულიყვნენ. ჩვენს უკან ზეგანის მთიანეთის მოგრძო კონტურები და შიშველი ფერდობები გადაჭიმულიყო, სამხრეთით კი, მდინარის მარჯვენა ნაპირიდან, მთიანი მასების მწვერვალთა რიგების მიმართულებით, შემაღლებული ადგილები იწყებოდა. ეს მთიანი მასებიც იგივე ბორცვისმაგვარი ფორმებით ხასიათდებოდა.

რუსი ჯარისკაცების მრავალრიცხოვანი ბატალიონი, რომელიც, როგორც ჩანდა არმიის მთელი კორპუსი უნდა ყოფილიყო, დაბლობზე განლაგებულიყო. ჩვენ პავილიონებითა და გამაგრებული ქვემეხებით აღჭურვულ მუდმივმოქმედ ბანაკს ჩავუარეთ. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი თეთრი კარვებით იყო მოფენილი. ჯარის დათვალიერება მიმდინარეობდა და ჯარისკაცების მუქი უნიფორმები მათ რიგებს შავი ბლოკების რიგის შესახედაობას სძენდა. ჰიმნს მღეროდნენ და მდუმარე პეიზაჟის ფონზე ამამაღლებელი მუსიკის ხმები ძლიერდებოდა.

რაოდენი განსხვავებაა ლანდშაფტსა და მსგავს უცაბედ მოვლენებს შორის, როგორიც რუსული გზა და რუსული ბანაკია! გზაზე ქვების მცირე ხიმინჯები დაეხვავებინათ თანაბარი დაშორებებით, მაგრამ ეს იყო ტერიტორია ღობის, საზღვრების ან დანაყოფების გარეშე, ტალღოვანი ზედაპირის ერთი უბრალო სივრცე.

პირველი ქალაქი თუ დიდი სოფელი, რომელიც დავინახეთ, სუფლისი (სხვილისი - მთარგ.) იყო, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირას, ხეხილის ბაღებში ამოზიდულიყო. მის უკან მთის უსიცოცხლო მასივი გადაიშალა, რომელსაც მდინარე უვლიდა გარს; ტერასებად განლაგებულ ბრტყელ სახურავებს ძნელად თუ გამოარჩევდი ფერდობის ნიადაგისაგან, თუმცა კი რამდენიმე მინარეთის ვერტიკალური ზოლი შორიდანვე ჩანდა. გიხილავთ ოდესმე ამაზე ტიპური მაგალითი აღმოსავლეთის ნახევრად დახრილი დაბისა? მაგრამ თქვენ იმ მნიშვნელოვანი ციხისა და პროვინციული ცენტრის ზღურბლთან დგახართ, სადაც თანამედროვეობის ზოგიერთი მონაპოვარი მოდაში შემოსულა... სუფლისს რომ ჩავუარეთ, უფრო მივუახლოვდით მდინარეს; ჩვენს მარჯვნივ კლდეები ციცაბოდ ეშვებოდნენ წყლის ნაპირებამდე, მაშინ როდესაც ჩვენს ხელ-მარცხნივ დაბალი მთის თხემი, რომელიც ვულკანური წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, მდინარის საზღვრამდე აღწევდა. გზა ქვემოთ ვიწროს მიუყვებოდა, რომელიც გარს უვლიდა უზარმაზარ ლოდებს და ზედ დაჰყურებდა მსხვილი, სალი კლდეები. ჩვენგან ხელმარცხნივ მდებარე შემაღლებული ადგილები თითქმის დანგრევის პირას მისული ქვის კედლით გვირგვინდებოდა, ჩვენს წინ კი, მდინარის გადაღმა, სადაც ხეობა იშლებოდა, ბაღების ძირში ალუბლისფრად შეფერილი სახურავებიანი თანამედროვე ქალაქი ახალციხე გადაშლილიყო. ქვემოთ, მცირეოდენი დაშვების შემდგომ, საკმაოდ მოზრდილი ხიდი გადავკვეთეთ და, ისე, რომ ქალაქში არც კი შევსულვართ, კარვები მდინარის კალაპოტში, ქვიშაზე გავშალეთ. შვიდი საათი იქნებოდა. ღამე მანამ ჩამოწვა, სანამ ჩვენ კარვის გაშლისა და დაბინავების საქმეებს მოვრჩებოდით.

ინგლისურიდან თარგმნა
რუსუდან ბერიძემ

გაგრძელება იქნება

---

1 დასავლეთ სომხეთი – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს თურქეთის აღმოსავლეთ ტერიტორიებს (ყოფილი ოსმალეთის იმპერია), – სომხების ისტორიული სამშობლოს ნაწილია. აღმოსავლეთ სომხეთი, ან კავკასიის სომხეთი, რომელიც მოიცავს სომხეთის ზეგანისა და ისტორიული სომხეთის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც ტრადიციულად სახლობდა სომეხი მოსახლეობა. ასევე, აღმოსავლეთ სომხეთად ზოგჯერ აღნიშნავდნენ 1828 წლის შემდეგ რუსეთის იმპერიის სომხებით დასახლებულ ტერიტორიებს.

2 (Reisen in Hoch Armenien, Petermann's Mitth, Gotha, 1875, გვ. 59). იგი ამას მალაკნებისა და დუბობორების მაგალითს უკავშირებს - ავტორი).

სადაც ლექსი და სიყვარულია!

ციცინო ბაბუციძე

2022 წლის 04 ივლისს სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პოეტ ციური ასპანიძე - მესხიშვილის შემოქმედებითი საღამო.. ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სტუდენტები, მონვეული სტუმრები.

ამ მშვენიერი საღამოს მასპინძელი იყო სიყვარული, რადგან ქალბატონი ციურის ყოველი ლექსი არის ოდა სიყვარულზე, ერთგულებაზე, სამშობლოზე... ყაყაჩოა მისი საყვარელი ყვავილი და თვითონაც ყაყაჩოს ჰგავს, მაგრამ ქარს კი არა, ქარიშხალსაც არ შეუძლია მიმართულება შეუცვალოს მის მებრძოლ სულს...

– „უუუუჰ! როგორ გამიჭირდა დღეს შენს დაბადების დღეზე მოსვლა, მაგრამ მაინც რკინის ქალამანი ჩავიცვი და წავედი იქ, სადაც შენ ოცნების ფრთებით დაფრინავ ხოლმე, მაგრამ ვერ აღწევ... ჯერ მავთულხრთებთან დავდექი, გავხედე სერებს, აღარ შევუშინდი არაფერს, და არავის და პირდაპირ ყაყაჩოს ყანაში ფეხშიშველმა შევაბიჯეე“... ასე მომილოცა დაბადების დღე ჩვენმა მშვენიერმა პოეტესამ... არ მქონდა უფლება მისი სულის ზეიმის მონაწილე რომ არ ვყოფილიყავი – ქალბატონ ნინო სალუქვაძესთან ერთად ვეწვიე ახალციხეს... მის სიხარულს ვერანაირი მავთულხლართი ვერ გაუძლებდა... სიყვარული ძალაა, რომელიც თუ ნამდვილად გაქვს, ცხრა მთას შეუსვენებლად გადაგატარებს...

,,იდგა მაშინ მეჩვიდმეტე საუკუნე,
წელი იყო საუკუნის ოცი,
და მუხრანის სადედოფლო სანახებში
მწიფდებოდა, შავდებოდა მოცვი.
გრემის ახლოს დაუვარდა მზეს მტევანი,
(მზესაც ჰქონდა, თურმე ცრემლი, დარდი),
სულთათანას ლოცულობდა ქეთევანი
კახეთიდან შორს, შირაზის ვარდი.
ისჯებოდა საქართველოს დედოფალი,
სიკვდილის წინ აღავლენდა ლოცვას,
საწნახელში თავს იკლავდა რქაწითელი
და ცრემლები მოსდიოდა მოცხარს.
გათენდა და რა გათენდა, თუ გათენდა?!
ზეცას ჰქონდა ისევ ღამის ფერი,
დაღამდა და არ დაღამდა! – გადათეთრდა...
ავარსკვლავდა ზეცა ნათლისფერით!
აალდა და რა აალდა, დაიშანთა,
აღარ კვნესის წამებულის გული,
ისმის ღრენა და ყიჟინი შაითანთა
(კრულნი იყვნენ, კრულნი იყვნენ, კრულნი!)
მაგრამ, ჰოი, ღმერთო! – შენი საოცრება!
გადმოფრინდა ციდან ორი გვრიტი,
ცეცხლში იწვის საქართველოს დედოფალი
და ანათებს შავი მარგალიტი!... “

დიახ, ეს მაშინ იყო, მეჩვიდმეტე საუკუნეში... ქეთევანმა რწმენის უმტკიცესი კედელი აუშენა საქრისტიანოს – გადავრჩით! დღესაც ისევ ისე უჭირს ჩვენს ქვეყანას, ისევ მაშინდელივით სჭირდება წამებული ასულები და რაინდები... კითხულობდნენ ციური მესხიშვილის ლექსებს და დარბაზში იღვრებოდა მესხეთის სისხლის ემბაზში ნაბანი სული... მესხეთის ნასისხლარი მიწის ყაყაჩოებივით ბრიალებდა მისი ლექსის ყოველი სტრიქონი, ყოველი ბგერა და თითოეულ ჩვენგანს მესხად ყოფნას გვავალდებულებდა – ვთამარობდით! ვქეთევანობდით! ვდავითობდით!... მის ლექსებში ერთნაირი ფერადოვნებთ იხატება და იძერწება საქართველოს ყველა კუთხე – ხან იმერელია, ხან – ქართლელი, ხან – გურული, მეგრელი, კახელი, ხევსური, რაჭველი, ფშაველი, თუში... მაგრამ ყველაფერს ერთი რამე აქვს საერთო – მესხური ძალა და სიდარბაისლე, რადგან ყოველმა სიტყვამ მესხი ქალის ყაყაჩოსავით კაფანდარა სხეული და ძლიერი სული გამოიარა... ხიზაბავრელი სტუდენტი გოგონა სულს ატანდა ლექსს, საიდანაც მისი სოფლის ძალა და მადლი გადმოდიოდა... კითხულობდა ისე, რომ ჩვენამდე აღწევდა ტერასებზე გაშენებული მუხლმაგარი ვაზის შრიალი, მესხური პურის სურნელი... იმ წუთას,

უკლებლივ, ჩვენც ხიზაბავრელები ვიყავით!... თამარაშვილების ნამღერმა ,,მრავალჟამიერმა" ზე ასნია მესხეთის ცა! ამ გაზაფხულზე ვარძიიდან გასხლული ვაზის ლერწი წამოვიღე, სულ ციმციმ ვატარე თბილისამდე – იხარა, ქოთანში გადავრგე და თიანეთში გავუგზავნე ჩემს ბიძაშვილს – იქაც მკაცრი კლიმატია და ივარგებს, გამოისხამს მესხური ყურძნის თვალმცინარ მტევნებს!

ძველ ერკოტაში

მოდი წავიდეთ ძველ ერკოტაში
და გავიხსენოთ ჩვენი ბავშვობა,
გზად კიდევ ჯინჭრის მწვანე ფოთლები,
თან გავიყოლოთ ცრემლის საშრობად.
ის ერდოც ვნახოთ, ძველ ო დ ი ს თავზე
ღამღამობით რომ მთვარე ეკიდა,
გახსოვს, პაპიკომ ციცქნა ვარსკვლავი,
რომ გამოთალა მთვარის ნეკნიდან?!..
„ენკი-ბენკი და ბენკი-ენკიდა“,
გახსოვს, მთვარე რომ გამოგვეკიდა?!..
უკან მოგვდევდნენ თეთრი ღრუბლები,
კიდევ, რაღაცას ყურში გეტყვი და...
ოღონდ, არავის უთხრა ,შემპირდი!..
მეც, გუშინ მითხრა ჩუმად, კესანემ: –
სადაც ბაბუაწვერა ამოდის
იქ წინაპრების საფლავს კემსავენ!!!..

ასე წერს ციური მესხიშვილი ლექსს და ვხედავ, ვგრძნობ, ბაბუაწვერა კი არა, მისი ლექსები კემსავენ წინაპართა საფლავებს, ჩვენს დაქუცმაცებულ საქართველოს... მას სჯერა, რომ სიყვარული და სიმართლე გაიმარჯვებს, რადგან დაუზარებლად, გულუხვად აბნევს ციური ბაბუაწვერასავით ფაქიზ ლექსებს... ბაბუაწვერა სისხლძარღვების მკურნალია... ლექსი – სისხლისაც და სულისაც!

წიგნი არა აქვს მესხ პოეტესას... არც ამას დარდობს, რადგან ამბობს, რომ მისი გულია წიგნი... მართლაც ასეა, მთავარია მისი გულის კარის გაღება და გულის წიგნის გადაფურცვლა მოგინდეს... მისთვის კი მესხეთია ყველაზე დიდი წიგნი, რომელსაც დაუზარებლად ფურცლავს და კითხულობს... ეს არის მისი შემოქმედების მუზაც და დვრიტაც!

ციური ასპანიძე - მესხიშვილის პოეზიით სულდაპურებულებს, არც პურისა და ღვინის მადლი დაგვკლებია – გულუხვად გვიმასპინძლა ბატონ რამაზ თედორაძის და ქალბატონ ლალი ვახრამაშვილის ოჯახმა. ვარდობისთვეს ჰგავდა ის ულამაზესი, აყვავებული ეზო - კარი – ვარდების მშვენიერი თაიგულიც გვისაგზლეს... ღმერთმა დალოცოს იმ ოჯახის ძირი და ფუძე – უმრავლოს ქვეყანას ასეთი ძლიერი ოჯახი და გულუხვი მასპინძელი! – ულამაზესი, უსათნოესი მემკვიდრე ჰყავს ამ ოჯახს – რუსუდანი... წარჩინებით დაამთავრა სკოლა და სულ მალე ავსტრიაში გაემგზავრება ცოდნის გასაღრმავებლად... ფრესკის ღიმილს ჰგავს ეს მზე - გოგონა! წარმატებას ვუსურვებ!

თითქოს კი არა, უფალი მგზავრობდა იმ დღით ჩვენთან ერთად... აქეთობისას, მგზავრობის საფასური მასპინძლებმა გადაიხადეს, მშვიდობიანი მგზავრობა გვისურვეს და კეთილი სურვილებით დაგვემშვიდობნენ... თითქოს აქ უნდა დასრულებულიყო ყველაფერი...

ნინო სალუქვაძეს რა მოასვენებს მშვიდად – ახლა ერთი ლექსი არ გვაწყენდაო! – ხუმრობ?

– ვეკითხები გაოცებით და გამოღვიძებულ მგზავრებს ვათვალიერებ. მძღოლმა (ბექა ხუციშვილი) ერთი კი გამოგვხედა და ისეთი ლექსი წაიკითხა, კარგად გაგვაჟრიალა. ნინო სალუქვაძემ მუხტი არ დააგდო და საპასუხო მიაშველა... არც მე დავბნეულვარ და ,,მესამე ხმაც“ მივაშველე... მიკროავტობუსის ბოლო რიგში გოგონამ ჩუმად დაიწყო ლექსის კითხვა... წინ გადმოვიყვანეთ – სამაჩაბლოს ომზე, 8 აგვისტოზე წაიკითხა ლექსი ისე, რომ ახლაც მბურძგლავს ტანში. ყველას ცრემლით გვქონდა სავსე თვალები... – ჩემი ბიძა 8 აგვიტოს გარდაიცვალა სამაჩაბლოში და ეს ლექსი მას ეძღვნებაო! – ადიგენიდან იყო ლიკა. – უდეში მალე მისი ხოვნისადმი მიძღვნილი სპორტული შეჯიბრი ჩატარდებაო! – სიამაყით გვითხრა და დაგვპატიჟა. რა თქმა უნდა, ნინო დამეთანხმა და დავპირდით, – აუცილებლად წავალთ! ვალედან ხითარიშვილები მოდიოდნენ, ჩემი ლალი გოზალიშვილის მეგობრები... ადიგენში მართა ჭოველიძე ცხოვრობს, იმასაც იცნობდნენ, ერთი ქალბატონი სამაჩაბლოელი აღმოჩნდა და, ერთ საათში ყველა ერთმანეთის ნათესავი აღმოვჩნდით... – პირველად ვმგზავრობ ასეო! – ღიმილად იქცა მძღოლის გვერდით მოკალათებული ახალგაზრდა ბიჭი. – ჩაიფიქრე რამეო! – უთხრა მძღოლმა და მხარზე ძმურად დაჰკრა ხელი. გზა სიმღერითა და ლექსით გავლიეთ... ალბათ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, რომ ამ გზის დასრულება არავის სურდა... გზადაგზა გვემშვიდობებოდნენ ღიმილით და მადლიერებით სავსე ახალციხელები. სადღაც გაჩერება არ შეიძლებოდა, მძღოლმა დიღომში გადაუხვია და შემოვლითი გზით გამოვიდა... გვჯერა, არ დაავჯარიმებდნენ, რადგან ის სრულიად განსხვავებული დღე იყო...

თბილისის ავტოსადგურამდე მესხეთი იყო ჩვენი მასპინძელი! მძღოლმა სათითაოდ ჩაგვიკრა გულში და ისე დაგვემშვიდობა... გზად არც ღრუბელს გადავყრივართ, არც – წვიმას... მოგვაცილებდა ციური ასპანიძე მესხიშვილის გულქართულა პოეზია და მესხურ - თბილისური მზე და სიყვარული!

მაინც რა ძალა აქვს პოეზიას, ჰა!

დავით გურამიშვილის ჯარღვაცვალებიდან 230 წლისთავისათვის!

„გვაკავშირებს დავითი და ლესია“

ტატიანა ოდიშელიძე[1]

გურამიშვილის ხსოვნას

მოველ, მოვიდრეკ მუხლს შენს საფლავზე,
მირგოროდის გვაქვს ზიარად მიწა.
გურამოვ, ცოცხლობ ჩემთვის აქამდე,
სიცოცხლე ჩემი შენით აიწყა...

ქართველიც ვარ და უკრაინელიც...
უკრაინულიც თუმც მაქვს ფესვები,
დავით, ვამაყობ გრძნობაგულწრფელი,
კავკასიური ვართ რომ თესლები...

დიადო დავით, მაშ, მომისმინე,
შენც მედარდები, ჩემი ქვეყანაც,
ხალხს მძიმე დრო აქვს, ვერ მოვისვენე,
სამშობლოს დარდი არ მომეტანა:

გამცნობ, სიმშვიდე ქართლში არ სუფევს,
მშობელ ერს ტანჯვის მარწუხი მიწვდა!
აქ სანდოდ ვიცავთ შენს ნაღვაწს თუ ფერფლს...
ხსოვნა მარადი, მსუბუქი მიწა!

თარგმნა თამარ გაბოძემ,
1992 წელი, მირგოროდი

[1] ტატიანა ოდიშელიძე – „ვახტანგის დროს“ (1724) ქართული ემიგრაციის მწიგნობარ (შემდგომში ჰუსარ ოდიშელიძეთა შთამომავალი, რომლის მამაპაპანი იბრძოდნენ ქ. მირგოროდის პოლკში და იქვე მკვიდრობდნენ.ტ.ოდიშელიძე იყო ქ.მირგოროდის მე-3 საშუალო სკოლის უკრაინული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (მე – კასპის მე-3 საშუალო სკოლის ქარღთული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ჩვენ დავამეგობრეთ ჩვენი სკოლები (1979 წ).ტ.ოდიშელიძე ნ.ხარასაილოსთან ერთად სიცოცხლეში ერთხელ ესტუმრა ისტორიულ სამშობლოს. 1955 წელს საგურამოში მას აჩუქეს ქართული ეროვნული სამოსი. ეს საოჯახო რელიკვია ინახება დ.გურამიშვილის მირგოროდის მუზეუმში შემინულ საგამოფენო კარადაში...

ლექსებს წერდა უკრაინულად. გამოსცემული აქვს პოეტური კრებული.

ვალენტინ გრაბოვსკი

***

მოდით, მოვძებნოთ თოვლქვეშ ყვავილი
/ზეიმის საკადრისი /,
მივართვათ ლესია უკრაინკას,
/ზვიაგელს,[2] არის ღირსი!/
ჭაბუკურ ვნებით ერთად ვეწვიოთ
ახალგაზრდაა თუ ბერი,
ვით გაზაფხულზე შენაკადები –
გულჩქარი სლუჩის[3] ჩქერი.
იქ სასწაული – ზვიაგლის მშვენი
ცოცხლობს ლესიას კრება,[4]
ხანმოკლე მიაქვს დროს ყველაფერი,
უკვდავი კი არ ქრება!

ლიტერატურისა დახელოვნების საერთაშორისო დღესასწაული ,,ლესიას წყაროები,“ ნოვოგრად-ვოლინსკი, 2006

თამარ გაბოძე

დავლოცავ მესხეთს!

მეძვირაფასება მხარე მესხეთის,
დიდ რუსთაველს რომ ურნევდა აკვანს...
დაფნით რთავს ჟამი სამანებს მცხეთის,
საგურამოში დავითის ჩამყვანს...
სამცხეს, ვარძიას, დავლოცავ, სადაც
ქართლის მტერს მარცხი ბევრჯერ მოსვლია...
რაბათის სხვაგან სად ნახავთ სადარს,
მისით ამაყობს დღემდე ლომსია!..
კუთხე მდიდარი, ციხე - ტაძართა,
ოსტატთა, მცველთა, მრევლით ქებული,
მემკვიდრეობით, რაც დროს გადარჩა,
გვენახოს ჟამზე გამარჯვებული!

[2] ზვიაგელი – ქ. ნოვოგრად-ვოლინსკის ძველი სახელწოდება – მდინარე უკრაინაში, ჟიტომირის ოლქში, ნოვ.ვოლინსკთან

[3] სლუჩი – უკრაინის მდინარე, ჟიტომირის ოლქში, ნოვ.-ვოლინსკთან

[4] ლესიას კრება-ლესიას უახლოეს მეგობართა შეკრება-შეხვედრები წყაროების მიდამოებში

ციური მესხიშვილის „მესხთა მემუარები"

ვახტანგ ინაური

ციური მესხიშვილის შემოქმედებას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. პოეზიის მოყვარულებს ახსოვთ მისი წარმატებები „ლიტერატურული მესხეთის" მიერ შოთაობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში. მან სამგზის მოიპოვა გამარჯვებულისათვის დაწესებული ჯილდო.

მესხეთის თემა ც.მესხიშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი თემაა. მას მრავალი საინტერესო ლექსი აქვს მესხეთზე. იგი, ერთ მხრივ, აგრძელებს ქართველ კლასიკოსთა ტრადიციას მესხეთის პოეტური წარმოსახვის ისტორიაში და, მეორე მხრივ, ავითარებს მას თავის შემოქმედებაში ლირიკული განცდებით, პოეტური ხედვითა და პატრიოტული შემართებით. ამასთანავე, პოეტი აცოცხლებს მესხეთის ისტორიას თანამედროვე ეპოქაში. ეს არის წარსულის პოეტური გადმოტანა XXI საუკუნეში და დღევანდელი მკითხველის გადაყვანა წარსულში. ანუ მესხეთისადმი მიძღვნილ მის ლექსებში მკაფიოდ იკითხება ორი მიმართულება: მესხეთის ისტორიული დიდება და ჩვენი დროის მესხთა სულიერი ცხოვრება, მშობლიური მხარისადმი სიყვარული და ერთგულება, რომელშიც სამართლიანად ფიქსირდება როგორც ამ ძირძველი ქართული მხარის სიდიადე, ისე მისი რეალურ-ისტორიული, აწმყოში შემონახული მატერიალური და სულიერი საფუძვლები: გრანდიოზული ციხე-ქალაქები, რომელთა ხსენებაზე ყველა დროის ყველა ქართველი მამულიშვილი თავს ღირსეული ქვეყნის მოქალაქედ იგრძნობს, იამაყებს მესხეთითა და მესხებით.

ც.მესხიშვილის პოეზია ისტორიული წყაროებითა და მკვლევართა მიერ დადგენილ მესხეთის ძირითად გეოგრაფიულ და ეთნიკურ სივრცეს მოიცავს, მაგრამ პოეტური წარმოსახვის მიღმა კვლავ მრავალი მნიშვნელოვანი ქართული კულტურულ-საფორტიპიკაციო ცენტრი რჩება, რომლებიც აუცილებლად იმსახურებენ ყურადღებას როგორც პოეტების, ისე მკვლევართა მხრიდან.

მესხეთზე წერდნენ ქართული პოეზიის კორიფეები: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, ლადო ასათიანი, ანა კალანდაძე, იოსებ ნონეშვილი და სხვ. მაგრამ ც.მესხიშვილის ლექსები არც ერთ ნიუანსში არ იმეორებს მათ მხატვრულ სახეებსა და პოეტიკურ საშუალებებს.

მას თავისი პოეტური ფორმები, სახეები, თავისი მედიტაციები, მეტაფორები და რითმები აქვს. ზოგადი ანალიზით, ორი რამ ნათლად ჩანს ციურის პოეზიაში: ის მესხია და, თანაც, ქალი. ძნელია, არ დამეთანხმოს მკითხველი, რომ მშობლიურ მხარეს ნებისმიერი შემოქმედი მეტი განცდით, მეტი ემოციით, მეტი სიყვარულითა და შთაგონებით ასახავს. ამ შემთხვევაში ციურის მაღალ პატრიოტულ განცდებში, მესხეთისადმი თაყვანისცემაში, მის მესხურ შთაგონებასა და შემართებაში, არა მგონია, ვინმე შეეცილოს. ეს ნათლად ჩანს მესხეთზე დაწერილ მის ერთ-ერთ ბრწყინვალე ლექსში „მესხთა მემუარები". ამ ლექსს უკვე იცნობს ქართველი მკითხველი „ლიტერატურული მესხეთის" ფურცლებიდან.

შეიძლება ითქვას, რომ *„მესხთა მემუარები" თავისი სიმბოლისტური აზროვნებით, მდიდარი მეტაფორული სტრიქონებითაა დახვეწილი, მკვეთრად გამოხატული ძლიერი რითმებით და, საერთოდ, ლექსის სტრუქტურით, ნათელი და ამაღლებული სტილით, შედევრია არა მარტო ციურის შემოქმედებაში, არამედ XXI საუკუნის ქართულ პოეზიაში.*

ლექსის სათაურიდანვე ჩანს ავტორის ღრმა პოეტური ჩანაფიქრი, ამ ორ სიტყვაში იკითხება პოეტური აზრის მასშტაბები. ავტორი საუბრობს არა ერთი პიროვნების, არამედ მესხების – მთელი ერის მემუარებზე, ამიტომაც ხაზგასმულია სიტყვა „მესხთა". აქედან გამომდინარე, ფართოვდება სიტყვა „მემუარების" მნიშვნელობაც. აქ იგი გაიაზრება, როგორც მესხეთის მატიანე, როგორც ერის ისტორია, რომელიც დღეს უნდა წაიკითხოს ქართველმა კაცმა. დღეს მეტი უნდა ვიცოდეთ, ვიდრე გუშინ ვიცოდით, დღეს არანაკლები პრობლემებია, ვიდრე წარსულში. ამდენად, ლექსის ავტორის მიზანია წარსულის ფონზე დაანახოს მკითხველს ახლანდელი და მიანიშნოს მომავალი ვითარება. ამიტომაც ეს ლექსი არამხოლოდ ავტორის გულიდან ამოძახილია, არამედ შეძახილიცა და გადაძახილიც. შეძახილი – რომ მოყვასი გამოაფხიზლოს და გადაძახილი – ჩვენს თანამემამულეებს რომ მიაწვდინოს ხმა. ამცნოს ჩვენი გულისტკივილიც და აღმაფრენაც:

„ეჰეჰეი! მე მესხი ვარ. გესმით,
მთებო, ჩემი ხმა?!
მუმლი მუხას არ შორდება, –
მუხის ტოტი შემიხმა!..
ეჰეჰეი! – მიტომ გიხმობთ,
ამირანის გორიდან..."

„ეჰეჰეი" მთებში, შორ მანძილზე ხმის მისაწვდომად მიღებული შორისდებულია. ხმოვნისა და ნახევარხმოვნის რიტმული გამეორება ძლიერ ექოს იძლევა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორის მიზანია თავისი ხმა შორს გაიგონონ და უფრო მეტი სივრცე მოიცვას მისმა შეძახილმა. „მუმლი მუხას" სამშობლოსა და მტრის ცნობილი სიმბოლოებია და აქ მის გენეზისზე აღარ შევჩერდები. ხოლო ამირანის გორა წმინდა მწვერვალი, საუფლო ადგილია, საიდანაც სიკეთის ძახილი უნდა მოდიოდეს. ასევე წმინდაა აბული, აბულზე მოსული წვიმა, მზის ამოსვლა, სიცოცხლისა და მოძრაობის სიმბოლოა. აქ უბრუნდება ავტორი ლირიკულ განწყობილებასა და ლექსის სიუჟეტს *„სამსრის სერზე გადავშალე მესხთა მემუარები".*

ეს პირველი სტროფი ლექსის ერთგვარი ექსპოზიციაა. მეორე სტროფით იწყება მესხეთისა და საქართველოს დიდებული წარსულის გამოძახილის პოეტური ნარატივი, რომელიც ხმოვანდება გრიგოლ ჩახრუხაძისა და სარგის თმოგველის ხსენებით. აქვეა ბეთლემის იმიტაცია ვარძიასთან: *„ვარძიასთან მოდიოდნენ შობის ღამეს მოგვები".* მოგვები მელქიორი, ჰასპერი (გასპარი) და ბალთაზარი პოეტური წაროსახვით ვარძიაში მოდიოდნენ შობის ღამეს, რაც ვარძიის ბეთლემის იდენტიფიცირებას გულისხმობს.

რუსთაველის სადიდებლად ციური მისი სტრიქონების ციტირებას მიმართავს. ეს არის შოთას სიტყვების ორიგინალური პერიფრაზი. ამ მეთოდს იყენებდა გ.ლეონიძე „ყივჩაღის პაემანში", „ნინოწმინდის ღამესა" და სხვა ლექსებში. „მესხთა მემუარებში" ეს პრინციპი გამიზნულია ქვეყნის სიდიადის წარმოსაჩენად:

„მოეწონათ ჩვენი მხარე
– „გვაქვს უთვალავ ფერითა",
„დავჯექ წერად ანდერძისად"
– რუსთაველის ენითა..."

ვარძიის ხსენება ყველა წიგნიერი ქართველისათვის ასოცირდება თამარ მეფის სახელთან და ბასიანის ომთან:

„ეჰეჰეი! – დავძახო და ავამღერო
ხეობა,
„ვარძიობა ძიობასა", – თამარ
მეფის დღეობას"...
„შენ, ძვირფასო, ალმაცერად და
ირიბად ნუ მიმზერ,
მე მესხი ვარ, კერპი ქალი –
ვარძიის კლდის პირიმზე!"

აქ ფიქსირდება, რომ ავტორი ქალია, მაგრამ პრინციპული, მტკიცე და თავდადებული, მისი სიმტკიცე ვარძიის კლდის სიმტკიცის ანალოგია, რაც სიტყვა კერპით გამოიხატება, ხოლო სილამაზე – პირიმზის მხატვრული სახით.

ავტორი კვლავ იხსენებს თამარ მეფესა და ბასიანს, ამჯერად უკვე მესხური ეთნოგრაფიის დემონსტრირებით:

„თუთის ტყლაპის ეტრატებით,
თამარ მეფის დროშებით
ბასიანში ფეხაკრეფით მიდიოდნენ
ქოშებით...
ცხრაფურცელა უფლის ქადა
სეფისკვერს რომ უდრიდა,
ზიარებად მიჰყვებოდა მეფის
ლაშქარს წუნდიდან."

ორიგინალური, გარითმული სახით შემოაქვს ავტორს უძველესი ბრწყინვალე ქალაქი წუნდა, რომელიც იმ დროს მთელი რეგიონის ცენტრი იყო. ავტორი რომანტიკულ ასპექტში იხილავს ვანის ქვაბებს, მოკლე შტრიხებით იყენებს ხალხურ თქმულებებს შეყვარებული მონაზვნის შესახებ. რა თქმა უნდა, ესეც წარსულის ნაწილია, მაგრამ ამ სტრიქონებში წარსული და აწმყო ერთობლივად, მჭიდრო კონტექსტში აღიქმება. ამასთანავე მნიშვნელოვანია დემნა უფლისწულის გახსენება და თანაგრძნობა უსამართლობისა და ხელისუფლების ტირანიის მიერ სვეგამწარებული ახალგაზრდა ტახტის მემკვიდრისადმი, რომელმაც არა მარტო კუთვნილი ვერ მიიღო, არამედ, პირიქით, დასაჯეს, დაასაჭურისეს და თვალები დასთხარეს. ჯერ კიდევ არ არის ობიექტურად, სამართლიანად და ზნეობრივი პრინციპებით შეფასებული ეს ფაქტი ისტორიაში.

ციური თავისი ლექსით ექომაგება დემნა ბატონიშვილს და ძლიერი, ამაღლებული მეტაფორით ასახავს დემნას ტრაგედიას. მის დათხრილ თვალებს ვანის გამოქვაბულებს ადარებს, რითაც ის დემნას პიროვნებას, მის სულს უკავშირებს ვანის ქვაბების *სიწმინდეს. „ეს ქვაბები თვალებია დემნა უფლისწულისა".*

ხელოვანი ვერ ეგუება ძალმომრეობას, მისი სული ჰუმანური და კეთილია, ამიტომ ციური ეჭვს გამოხატავს მეფეთა მოქმედებაში, მაგრამ კარგად ხედავს გიორგი ბრწყინვალის ღვაწლს, რომელიც *„ბრწყინავ მეფედ სამცხეს აღიღილოვდა...*

„მე დედა ვარ ბრწყინვალისა
– დიდი ბექას ნათელა,
ლომსიიდან საფარაში მთვარის
ამონათება".

პოეტი განსაკუთრებული ხიბლითა და სიამაყით წარმოაჩენს შავლეგოს ანუ შალვა ახალციხელს, რომელიც მთელი ქართველი ერის თაყვანისცემასა და პატივს იმსახურებს. მისი სახელი მარად უკვდავია ჩვენი ხალხის ხსოვნაში, ამიტომაც ციური არ იშურებს მხატვრულ სახეებსა და ეპითეტებს მისი ავტორიტეტის საჩვენებლად:

„შავლეგომაც შემოსძახა ერთ
დროს „მამლი მუხასა",
წონწილებს, ვერ წაიქცევა!..
ხმალს მოიქნევს უხმარსა!..
ეჰეჰეი, გაიღვიძე პაწაწინა ნამყენო!
შავლეგო და მისი ცხენი უნდა
გადააყენო."

აქვე „პაწაწინა ნამყენის" შალვა ახალციხელთან ხსენება გმირის გენის, გმირის სულიერი, ფიზიკური და გონებრივი მემკვიდრეობის გაგრძელების მანიშნებელია. რომ შავლეგოს სისხლი ყივის მესხთა მომავალი თაობის ძარღვებში, მისი მებრძოლი სული ტრიალებს შთამომავლობაში.

ლექსში წარსულის ფონს შავლეგო ქმნის:

„ეჰეჰეი! – მე მესხი ვარ და
ვირჩევი სიფრთხილით,
გახსოვთ? რუქნადინის ლაშქარს
როგორ გადმოგიფრინდით?!
შავლეგო და გელა ბიჭი – მესხთა
მთავარსარდალნი!.."

ავტორმა იცის, რომ დავით გურამიშვილი წარმოშობით მესხი იყო: *„სულ გახსოვდეთ! მესხი იყო დავით გურამიშვილიც".* იგი უფრო შორს აღარ მიდის, არ იჭრება ისტორიაში და პოეზიით იფარგლება. მაგრამ ცნობილი ფაქტია, რომ **ზაქარია ფალიაშვილი, დავით გამრეკელი, რუსუდან კავკასიძე** და სხვა მრავალი ქუთაისში განათლებამიღებული დიდი მოღვაწე მესხები იყვნენ. უფრო შორს, წარსულში თუ გადავიხედავთ, კაბადოკიელი წმინდა მამები, **წმინდა ნინო, წმინდა გიორგი** მესხები იყვნენ, რადგან კაბადოკია, ტაოს შემდგომი მხარე, მესხეთის შემადგენელი ნაწილი იყო ადრეც და სამცხე-საათაბაგოს არსებობის პერიოდშიც.

ციური მესხიშვილი ამ ძლიერ ისტორიულ ლექსს კიდევ უფრო აძლიერებს და მხატვრულად ამდიდრებს ლირიკული ემოციებითა და მედიტაციებით. პირველ რიგში აღსანიშნავია „პოეტური „მე", რომელსაც იგი თავისი შემოქმედებითი ნიჭითა და გონებით ქმნის. ასეთ ეპიზოდებში იგი პირველი პირით საუბრობს მკითხველთან, ხოლო მეორე პირად, ოპონენტებში ნიჰილისტი მოყვასი და ფარული ქვეგამხედველი გაიაზრება, რომლებიც ვერ ხედავენ ან არ უნდათ დაინახონ და დაიჯერონ ისტორიული რეალობა, არ უნდათ აღიარონ მესხეთის წვლილი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ამიტომ ავტორი, ისტორიულ წიაღსვლასთან ერთად, ირჩევს ლირიკული წარმოსახვის მეთოდს, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია უკიჟინოს მათ გულცივობა და სინამდვილის იგნორირება.ამ გზით ის მარტივად მართავს პოლემიკას მათთან და ამავე დროს პოეტური დამაჯერებლობით ამეტყველებს ლირიკულ გმირს, რომელშიც თვითონ პოეტი მოიაზრება და რომელიც ერთდროულად ყველა წინაპარ დიდებულ მესხ ქალს წარმოსახავს. ამიტომ აცხადებს იგი: **„მე მესხი ვარ, კერპი ქალი – ვარძიის კლდის პირიმზე!"**. ეს ფრაზა ერთგვარი რეფრენია, იგი დევიზივით გასდევს ლექსს და მისი პემანენტული გამერებით, ერთის მხრივ წარსულიდან რეალობაში აბრუნებს მკითხველს და, მეორე მხრივ, შეახსენებს, რომ მესხი საამაყო სიტყვაა და ეს ყველამ უნდა იცოდეს! ამავე დროს, როგორც ქალი, იგი ისტორიულ და ლიტერატურულ ასპექტში განასახიერებს ზოგად ქართველ ქალს. ის ერთდროულად როსტევანის თინათინია, ნათელაა, კრავაი ჯაყელია და სხვ. იგი ქალური ხიბლით ალამაზებს ისტორიულ სიწმინდეებს: *„ჭრელ ჩიქილას აფრიალებს ჭულე, ზარზმა, ჩორჩანი, შორეთში რომ ისევ ყვავის ოქროს ციხის შროშანი".* იგი არც გიორგი ლეონიძის სიყვარულსა და ათაბაგის ქალს ივიწყებს, მას მესხი ქალის ღირსებად მიაჩნია, რომ *„ლიონიძეს ტრფობა ჰკლავდა ათაბაგის ქალისა".*

პოეტი გამიზნულად წერს ლიონიძეს და არა ლეონიძეს, რადგან შავშეთსა და ახალციხე-ადიგენის რაიონებში ლიონიძეებად იხსენიება ეს გვარი, ხოლო ლეონიძე შემდგომი ფორმაა, რომელიც აქედან წასვლის შემდეგ მიიღეს დიდი პოეტის წინაპრებმა. ესეც, რა თქმა უნდა, ციურისთვის საამაყოა.

ლექსის ლირიკული გმირი ერთდროულად მტკიცე, გაბედული სახეა და, ამავე დროს, დედისა და მანდილოსნის განსახიერებაა. ამდენად, ციურის ლირიკული გმირი იდეალური და მხატვრულად სრულყოფილია. იგი არც ბრძოლაში იხევს უკან, არც ლოცვასა და არც სიმღერაში. ზოგან ის „სისხლიანი პირიმზე", ზოგან დედოფალია, *„ვახტანგ მეფის მეუღლე ვარ, სითი ფანასკერტელი",* მაგრამ, ზოგადად, იგი მესხი ქალია. გმირის ყოველი ნიუანსი წარმოაჩენს ციური მესხიშვილის ლირიკულ გმირს, როგორც მტკიცე და ეროვნულ მესხ ქალს. ქალის ასეთი გააზრებაც პოეტური ნოვაციაა ჩვენს მწერლობაში.

ლექსი „მესხთა მემუარები" მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია თანამედროვე ქართული პოეზიისთვის. ეს მხოლოდ ერთი ლექსის ანალიზია. წინ გვაქვს მესხეთის თემაზე შექმნილი ლექსების სრული განხილვა და, ამასთან, ც. მესხიშვილის ლირიკის პოეტიკურ-პრობლემატური კვლევა.

ვუსურვებ ქალბატონ ციურის შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

მატიანე



ძველი მესხური ოდა. სურათი მოგვაწოდა *ზელიმხან მაღრაძემ*

თამაზ ზერეკიძე

გარდაიცვალა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის უფროსი სპეციალისტი თამაზ ზერეკიძე.

თამაზ ზერეკიძე დაიბადა 1953 წლის 5 იანვარს გორის რაიონის სოფელ ტირძნისში, დაამთავრა ვ.კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნეტი, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში.

პროფესორი თამაზ ზერეკიძე არის ავტორი, თანაავტორი, რედაქტორი და რეცენზენტი მათემატიკის მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. გამოცემული აქვს კრებულები: „რვეულში ჩარჩენილი სიყვარული“, „შემოდგომის ნადარდალი“, „ფრინველთა სამყაროში“, „სინათლე სიმართლისა“.

თამაზ ზერეკიძე ხშირად აქვეყნებდა ნოველებსა და ლექსებს გაზეთ ,,ლიტერატურულ მესხეთში“.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედლით.

გაზეთ ,,ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

ვაჟას მამა

(1992 წლის გახსენება)

– თქვენი ჭირიმე, ხალხო, მიშველეთ, ვაჟას მამა ვარ, არ მომკლათ! – სასოწარკვეთით კვნესოდა საწოლზე მიჯაჭვული მოხუცი. თავთან გრძელშავსაფრიანი ქალი ეჯდა, რომელსაც ავადმყოფის ჭაღარა თავი მუხლებზე მიედო და მომჭკნარ ხელებზე ეფერებოდა.

ჩვენს პალატაში სიჩუმეს დაესადგურებინა. გამოღებული ფანჯრიდან შემოდგომის ჩამავალი მზე მოჩანდა.

საავადმყოფოს ეზოში გაყვითლებული ფოთლები ფრიალებდნენ. ჩაბნელებული ქალაქი შორიდან იყურებოდა.

მესხეთში ფართო ნაბიჯებით 1992 წლის შემოდგომა შემოდიოდა.

– ხალხო, თქვენი ჭირიმე, ვაჟას მამა ვარ, გეხვეწებით, ნუ მომკლავთ... ჩემი შვილი ცნობილი კაცია ამ ქალაქში, ჩემსავით სოფლელი კი არაა, მიშველეთ! მის მოსვლამდე, ლეიბი მაინც მომიტანეთ ხეირიანი. ცოდვა ვარ, მიშველეთ, ხალხო, ვკვდები!..

ავადმყოფი ძველ, გაყვითლებულ ლეიბს ხელს უჭერდა. საწოლის რკინის თავებს სიმწრისაგან ხელებს ურტყამდა... მისი გამკითხავი კი არავინ იყო.

სასთუმალიდან წამოვიწიე. ერთხანს ღია კარს მივჩერებოდი...

– მიშველეთ! – ახლა მე ავტეხე ძახილი.

კარებში ჯერ დაბალი ტანის ექთანმა შემოყო თავი, მერე თეთრხალათიანი ექიმიც შემოჰყვა.

– ნუ ყვირიხართ! აქ თქვენს გარდა, იცით რამდენი გაჭირვებულია? მერე ექთანს მიუბრუნდა და მოხუცის ვინაობა იკითხა.

– რა ვიცი, ვიღაც ოხერი მოათრიეს გუშინ, სოფლიდან. სიბნელეში დაცემულა. ეს ქალიც მოყვა. მგონი, ცოლი უნდა იყოს. თავისთვის ჩიფჩიფებს რაღაცებს. არც მას ესმის ჩვენი და არც ჩვენ გვესმის მისი. ვაჟას მამა ვარო, – იძახის. რა ვიცი, ვინაა ვაჟა! ალბათ, ვიღაც მამაძაღლი იქნება...

ხომ ხედავთ, ექიმო, დენი ჩვენ არ გვაქვს და სითბო. არც წამლები გვაქვს, არც რენტგენი. ყველა ექიმი წასულები არიან სახლებში. მე მარტომ რა თავში ვიხალო ქვა, რა ვუშველო ამ საცოდავს...

– ჩემი ვაჟა მოვა, ექიმო! მიშველე, არ მომკლა, ექიმო! ვაჟას მამა ვარ! – გულისშემძვრელად იძახდა ავადმყოფი.

– რისი ვაჟა, რა ვაჟა, ბიძია! ხომ ხედავ, რა ხდება ირგვლივ. ქვეყანა ინგრევა. მოითმინე ხვალამდე. ექიმებიც მოვლენ. იქნება შენმა ვაჟმაც გაიგოს, მოგვისწროს და მერე გავიგებთ, რა გჭირთ, ოპერაცია გინდა თუ არა, რა წამალი გჭირდება, ჩვენ რა საშუალება გვაქვს... რით შეგვიძლია გიშველოთ!

მორიგე ექიმს სიტყვის დამთავრება არ დასცალდა, რომ... შუქი აინთო. პალატის კარი ფართოდ გამოაღეს. პალატაში წვერმოშვებული, ორმოციოდე წლის მამაკაცი მოვარდა. ირგვლივ თვალები მოავლო და მოხუცთან მიიჭრა.

– ეს რა დღეში ჩაუგდიათ შენი თავი, მამა! – იყვირა ხმამაღლა. ჩათვლემილი მოხუცი ქალიც გამოფხიზლდა. ისიც აყვირდა...

კარებს გავხედე.

ხუთამდე თეთრხალათიანი შემოიჭრა პალატაში. წვერმოშვებული თითოეულს ასდოლარიანს უტენიდა ჯიბეში და ხმამაღლა ყვიროდა:

– აბა, ჩქარა, მიმიხედეთ მამაჩემს!

მედიცინის მუშაკები თავქუდმოგლეჯილები დარბოდნენ აქეთ-იქით. ზოგს ძველი საწოლი გაჰქონდა პალატიდან, ზოგს ახალთ-ახალი თეთრეული შემოჰქონდა.

ხელში აიყვანეს მოხუცი, ძველი ტანსაცმელი გააძვრეს, პიჟამოები გადააცვეს, სასთუმალი გაუსწორეს და, სათუთად დააწვინეს და... წამლებით დატვირთული ურიკაც შემოაგორეს.

ყურებში სულ გამყინავი ხმა მესმოდა:

– არიქა, ჩქარა! ვაჟას მამა ყოფილა, სასწრაფოდ მიხედეთ!

– ხომ ვიძახდი, – ვაჟას მამა ვარ-მეთქი, არ დამიჯერეთ... დიდზე დიდი კაცია ჩემი ვაჟა ამ ქალაქში. ახლა მის ხელშია ბენზინიცა და ნავთიც, დენიცა და პურიც... აქ ყველა იცნობს ჩემ ვაჟას. მართალია მე ვერავინ ვერ მიცნობს, მაგრამ მე ხომ ვაჟას მამა ვარ! სოფელში ვცხოვრობ, სოფლიდან არსად არ წავალ, ხალხო, ქალაქში ვერ გავძლებ, არ მომკლათ. სოფლელი კაცი ვარ! თუ მოვკვდები, აქ არ მომკლათ, სოფელში მინდა მოვკვდე და იქვე მინდა დავიმარხო ჩემი დედ-მამის გვერდით. ეს ქალიც ჩემ გვერდით მინდა რომ დაიმარხოს...

ექიმებმა ვაჟას ხათრით მეც მომხედეს იმ ღამით და, როგორც იტყვიან, სიკვდილს გადამარჩინეს.

დურმიშხან ბერიძე

ფოლკლორი

აღზრდა

აღზრდაა ჩვენი მეგზური,
მთელი ცხოვრების გზაზედა,
სწორი გზის მაჩვენებელი,
ავ-კარგის გასაყარზედა.

ისაა ფასი ღირსების,
ნამუსის ქუდი თავზედა,
ჩვენი მეს შემფასებელი,
სასუფეველის კარზედა.

ცვალებადია ცხოვრება
ფერს იცვლის ყოველ წამზედა,
კარგი აღზრდაა საჭირო
თეთრი რომ არ ვთქვათ შავზედა.

აღზრდა გვჭირდება ყოველთვის,
ყოველი სიტყვის თქმაზედა,
ჭკუა-გონების მესაჭედ
ნაბიჯის გადადგმაზედა.

აღზრდაა ციხესიმაგრე,
თან საიმედო, ძალზედა,
შეცდომებისგან დამცავი,
საბედისწერო ჟამზედა!

ავტორ-მთქმელი ზაურ ჯვარიძე,
76 წლის. ასპინძის მუნიციპალიტეტის
სოფელი ჭობარეთი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com